საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 8 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. მესამე სართული რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16 62

№ 204 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 204

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული დედა მელანია ახობაძისა, ძმა არქიპო, დები: თებრონე კიკაბიძისა, ანიჩკა და კატო ახობაძენი, სიძე ივანე კიკაბიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარ სახალხო მასწავლებლის

ალექსანდრე ახობაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 8 ენკენისთვეს ქალ. სამტრედიაში. (2923 1—1

სამუდამოთ მწუხარებაში მყოფი მამა ივლიანე სოფრომის ძე გოგორიშვილი, ძმა არკადი ივლიანეს ძე, დები: ვერა, თამარა და ნუცა გოგორიშვილები და კატო ლორთქიფანიძისა გოგორიშვილის ასული დისშვილი დათიკო ონისიმეს ძე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 13 სექტემბერს (ახ. სტ.) დილით კვირას 10 საათზე ბზვანის წმ. გიორ. ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის აღსანიშნავათ წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ ახალ ცხოვრებას უდროვოთ მოწყვეტილი

არდალიონ ივლიანეს ძე გოგორიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2995 1—1)

დამწუხრებულნი პელაგია ლასხიშვილის ასული, კოლია არსენის ძე გოგორიშვილი, მაშურა კოლიას ასული და ქმარი მისი ექიმი ვლადიმერ გუჯელაძე, ჩუჩულა კოლია გოგორიშვილის ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 სექტემბერს ახ. სტ.) დილით კვირას 10 საათზე იქნება ბზვანის წმ. გიორგის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად ახალ ცხოვრებას უდროვოდ მოწყვეტილი

არდალიონ ივლიანეს ძე გოგორიშვილის

სულის მოსახსენებლად, პირველის ძვირფასი ძმის, ხოლო დანარჩენის საყვარელი ბიძის. (2925 1—1)

შვილები კოლია და ალექსანდრე აუწყებენ მოკეთეებსა და ნაცნობებს, რომ 6 სექტემბერს გვარდიის საავადმყოფოში გარდაიცვალა ძვირფასი მამა

ივანე დიმიტრის ძე შავშიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება 8 სექტემბერს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ვერის ნიკოლოზის ეკლესიიდან დილის ათ საათზე. (2927 1—1)

დედა მართა, ცოლი ეკატერინე, შვილები: შოთა და სხვა უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ—ნათესავთ რომ მათთვის საყვარელ

ბეგლარ ექვთიმეს ძე მგალობლიშვილის

გასვენება გურიაში არ მოხდება მიცვალებულს დღეს 8 სექ. დღის 3 საათზედ გამოასვენებენ რკ. გზის საავათმყოფოს ეკლესიიდან და დაკრძალვენ წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2433—1—1)

ნოე მიხეილისძე ცინცაძე და მეუღლე მისი თამარა, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ—მეგობრებს, რომ მათთვის საყვარელ

ბეგლარ მგალობლიშვილის

გასვენება გურიაში აღარ მოხდება საპატიო მრავალ მიზეზთა გამო მიცვალებულს დღეს 8 სექტემბერს გამოასვენებენ რკ. გზ. საავ. ეკლესიიდან და დღის 3 საათზედ წაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2933—1—1)

უღრმეს მწუხარებისა შინა მყოფი ივანე დავითისძე პაიჭაძე, მეუღლე მისი მარინე, შვილები: დათიკო დიმიტრი და ელენე ამით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ გარდაცვალებულ მათი სიძის

ბეგლარ ექვთიმეს ძე მგალობლიშვილის

გურიაში გასვენება, როგორც ეს გამოცხადებული იყო არ მოხდა. მიცვალებულს დაკრძალვენ თფილისში წმ. ნინოს სასაფლაოზედ ოთხშაბათს 8 სექტემბერს. გამოასვენებენ რკ. გზ. საავათმყოფოს ეკლესიიდან 3 საათზედ. (2933—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ალათი, შვილები: აპოლონ, ვახტანგი, კატო, ნატაშა, მინადორა (შურა), ქალია და კეკელა, რძალი ანეტა, სიძეები: ვალოდია ქუთათელაძე და სპირიდონ ჯანჯღავა, შვილიშვილები: მიშა, ქსენია, ალიკო და ქეთიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ბიტო პეტრეს ძე სამსონიას

გარდაცვალებას რომელიც 8 ამა სექტემბერს გამოსვენებულ იქნება ობოლის რკინის გზის საავადმყოფოდან და საღამოს 8 საათის მატარებლით წასვენებულ ს. ზედა-ძიმითში. (გურიაში) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2931—1—1)

თავზარდაცემული ანტონ იესეს ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს მისი საყვარელი მეუღლე

მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა

გამოსვენება ხუთშაბათს, 9 ენკენისთვეს ქაშვეთის ეკლესიაში დილის 9 საათზე, პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ბინაზე პეტრე დიდის ქ. № 25. (2934 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ელიკო დიმიტრის ასული და ილიკო ივლიანესძე მამულაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი პირველის დედის და მეორის სიდედრის

მარიამ (მანი) აბესალომის ასულის მამინაიშვილის

უდროვოთ დაკარგვას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ბინაზე პეტრე-დიდის ქ. № 25, გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს 9 ენკენისთვეს დილის 9 საათზე. (2934—2—1)

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სენაკის მაზრის კიწია სალხინოს სამომრიგებლო უბნისთვის საჭიროა მომრიგებელი მოსამართლე, რომლის არჩევა მოხდება სენაკის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის მიერ მეოთხე მორიგ ყრილობაზე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე, შეუძლიათ თავიანთი განცხადება, კურიკულუმ ვიტეს წარმოდგენით, გამოაგზავნონ შემდეგის მისამართით: ქ. სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას. (2906—2—2)

ცენტრობანკის კონსტანტინეპოლის განყოფილება

ცენტრობანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 12—15 ამა სექტემბერს მიემგზავრებიან კონსტანტინეპოლის განყოფილების დასაარსებლად ბანკის რწმუნებულნი, მმართველი პ. სურგულაძე და დირექტორი ა. გრიგოლია.

რწმუნებულები იღებენ მონდობილებას გაასაღონ სტამბოლის და ევროპის ბაზრებზე ნაწარმოები ჩვენი ქვეყნისა და აგრეთვე შეიძინონ უცხოეთის ბაზარზე მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა, კერძო ფირმათა და პირთა მონდობილებით სხვადასხვა საჭირო საქონელი.

მოსალაპარაკებლად მიმართეთ ცენტრობანკში (კონსტანტინეპოლის «განყოფილება) 10 საათიდან 2 საათამდე.

(ნ. 2—1) **გამგეობა.**

ქ. ქუთაისში

ქუთაისის და მისი გუბერნიის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ერთ წლიან

საბუღალტერო კურსებზე

მეცადინეობა დაიწყება 16—ენკენისთვეს. კურსების გამგეთ მოწვეულია **მიხეილ თეიმურაზის ძე ბახილია**, ლექტორებათ ცნობილი სპეციალისტები.

თხოვნების და დაწვრილებითი ცნობების მიღება სწარმოებს ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა: ვოლგა-კამის კომერციულ ბანკში და ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში დილის 10—1 საათამდე. (2902 4—1)

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თფილისის ცენტრალურ შენობაში (პლეხანოვის პროსპ.) გაიხსნა

ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირვ. დაწყებითი სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმებისაგან) 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსებზე და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წლიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვეთეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისთანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. (ნ. 3—3)

ქუთაისის მუშა-ქალთა საღამოს სკოლა

ახალი მოწაფეების მიღება და ხელმეორე გამოცდები დაიწყება ყველა კლასებში 8 სექტემბრიდან საღამოს 6—8$^{1}/_{2}$ ს. ყოველ დღე (გარდა უქმისა) წელს გაიხსნება მეორე კლასი. მისამართი: პუშკინის ქუჩა, წმ. ნინოს ქალთა გიმნაზია. (2916—2—2).

ამხ. მკითხველებისა და აგენტების საყურადღებოთ!

12 სექტემბრიდან განახლდება ყოველკვირეული გაზეთის

„სოციალ დემოკრატ"-ის

გამოცემა. ვთხოვთ ამხანაგებსა და პარტიულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ თავის გაზეთს ცნობების და წერილების მოწოდებით, გაზეთის გავრცელებით და ფონდის დაარსებით. ადრესი: ქუთაისი „სოციალ-დემოკრატის" რედაქციას.

საქ. სოც.-დემ. პარტიის ქუთაისის **სამაზრო კომიტეტის ბიურო.** (უფ.—7—2)

ლეჩხუმში საჭიროა

ექიმები და ვეტერინარები. აგრონომი და ტეხნიკი.

ჯამაგირები შეთანხმებით, განცხადებები უნდა გამოიგზავნოს დ. ცაგერში ერობის გამგეობის სახელზე. (2894—3—3).

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

მ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33.

(2614—თ.)

კიდევ სომხეთთან ხელშეკრულებაზე

პირველი ნაბიჯი ურთიერთ შორის შინაური საშუალებებით მოწესრიგებისა, უკვე თითქმის დასრულებულია. მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტილ იქნა გაუქმდეს ორივე ქვეყნის მაზარალებელი ნეიტრალური ზონა, რომელიც შექმნილი იყო ინგლისის შუამავლობით. ეს ზონა, თავის თავად შეიქნა ბუდე ბოროტების და არევ-დარევის მთელი ბორჩალოს მაზრისთვის.

იგი წარმოშვა ომმა, მეზობელთა შორის სისხლის კვალის გავლენამ, რომლის მიზეზი ინგლისის დახმარების და ჩარევის იმედი იყო. ეს იმედი მოიმედეებს არ გაუმართლდათ. ინგლისმა ვერ მისცა მათ ის, რასაც მოელოდენ.

პირიქით ინგლისმა შექმნა მხოლოდ ის ბუფერი ორივე ერის, ნეიტრალური ზონა, რომელიც დღეს მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ყველას უთხრას ამ ომის უაზრობა და ამ ორ მეზობელ ერს სახელი გაუტეხოს, შეურიგებლობა დასწამოს. დღეს ინგლისის ძალებმა უკვე გაანთავისუფლეს ჩვენი ქვეყანა ჩარევისა და გავლენისაგან. და ეს ზონაც მათი გავლენის შედეგი უნდა გაუქმდეს. გარდა სიხარულისა არაფერს გამოიწვევს ეს შეთანხმება საქართველოს დემოკრატიაში.

ეს იქნება პირველი რეალური ნაბიჯი მეზობელთა დაახლოვების და სამწუხარო ამის შედეგების ლიკვიდაციის, მისი ნაშთების სრული გაუქმების.

ჩვენმა მთავრობამ უკვე მისცა დასტური მოლაპარაკების შედეგებზე ხელის მოწერისა საგარეო საქმეთა სამინისტროს. და ახლა რიგი სომხეთზეა. მათი სურვილი სწყვეტს და აბოლოებს ამ პირველ ნაბიჯს, ან უარყოფს და სპობს მას.

ჩვენ იმედი გვაქვს სომხის მშრომელთაც ისეთივე გრძნობები ასულდგმულებს როგორც საქართველოსას, და რომ სომხეთის მთავრობა ამ გრძნობებს ანგარიშს გაუწევს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ შეთანხმებას არ ვაძლევთ საბოლოო საზღვრების გარკვევის მნიშვნელობას. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს შემუშავებული და ორივე მხრისგან მიღებული ფორმულა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ეს კითხვა მოვაწესრიგოთ ან შეთანხმებით, ან არბიტრაჟით.

ასეთ პირობებში ეს გაუქმება ნეიტრალურ ზონის იოლი გადასაჭრელი საგანია, და მისი დაყოვნება უბრალო დროის დაკარგვაა.

საზოგადოებრივი წარმოება *)

(მისაბაძი მაგალითი).

კანტონ ვოდში (შვეიცარიაში) არის თემი—ბიურტინი, რომელიც შეიცავს 430 მცხოვრებს. ადგილობრივ კანტ-ნადერ კანონის მიხედვით, თუ თემის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება ექვსას, მას ნება არა აქვს ყავდეს თავისი საბჭო (ხმოსანთა ყრილობა). ამ შემთხვევაში მოქალაქეები ირჩევენ გამგეობას, ეგრედ წოდებულ მუნიციპალიტეტს, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს. ხოლო თუ თემი დიდია (ექვსას მცხოვრებზედ მეტი) მაშინ ირჩევენ ხმოსნებს და უკანასკნელი ირჩევს გამგეობას. ბიურტინს, როგორც მცირე რიცხოვან თემს, არ ყავს ხმოსანთა ყრილობა. საზოგადო ყრილობა ირჩევს გამგეობას, რომელიც შედგება შვიდი კაცისაგან. უკანასკნელი თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს საზოგადო ყრილობას. გამგეობის წევრები იღებენ განსაზღვრულ ჯილდოს წლიურად და ამასთან დამატებით გასამრჯელოს სამუშაო დღის მიხედვით. გამგეობის თავმჯდომარე იღებს წლიწადში 130 ფრანკს (ძველი კურსით – ომამდის—დაახლოვებით 50 მანეთს, ხოლო დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით დაახლოვებით შვიდ ათას მანეთს). გამგეობის მდივანი იღებს 225 ფრანკს. გამგეობის წევრები—თითო 90 ფრანკს. მოლარე იღებს 360 ფრანკს. ამას გარდა იმ დღეებში, როდესაც ისინი ფაქტიურად მუშაობენ თითეული იღებს ოთხ ფრანკს (ძველი კურსით დაახლოვებით მანეთ ნახევარს) დღეში. მკითხველი უსათუოდ ორ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას. გამგეობის თავმჯდომარე უფრო ნაკლებ იღებს, ვიდრე მდივანი, ან მოლარე. საერთოდ შვეიცარიის კომუნების (ასე ეძახიან იქ ჩვენებურ თემებს) გამგეობა არ არის დატვირთული მუშაობით. ხოლო რაც შეეხება მდივანს და მოლარეს, ისინი მეტ შრომას ეწევიან, ვიდრე გამგეობის სხვა წევრები. მეორე მხრივ, იქ განსაზღვრულ ჯამაგირთან ერთად შემოღებულია გასამრჯელო სამუშაო დღის მიხედვით. გამგეობის სხდომა ხდება კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ. ამ შემთხვევაში იღებენ თემის ხელმძღვანელები ცალკე დღიურ ხელფასს, დანარჩენ დროს ახმარენ საკუთარ, კერძო საქმეებს.

ბიურტინის კომუნას აქვს რამოდენიმე წყარო შემოსავლის. ჩვენ შევეხებით ამ წერილში უმთავრეს კომუნალურ წარმოებას. **პირველი:** კომუნალური სახლი, რომელიც შეიცავს ერთ დარბაზს გამგეობის და თემის კრების სხდომებისთვის, ორი ოთახი სასადილო, შვიდი ოთახი საწოლი (მგზავრთათვის), სარდაფი და ეზო ბურთის სათამაშოდ. ეს სახლი დაფასებულია 36 ათას ფრანკად და გაქირავებულია 1500 ფრანკად წლიურად. დაქირავებელი ვალდებულია დიდი დარბაზი დაუთმოს ხალხს საჭირო კრებებისთვის. **მეორე:** კომუნალური ფურნე, ღირებული 8 ათას ფრანკად. ეს ფურნეც გაქირავებულია წელიწადში 230 ფრანკად. (დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით ეს უდრის დაახლოვებით 16—17 ათას მანეთს.) მეპურე ვალდებულია ყოველ პარასკეობით დაუთმოს ფურნე ადგილობრივ მცხოვრებთ პურის გამოსაცხობათ, რომელშიაც ის აძლევინებს ძველი კურსით გირვანქაში ნახევარ კაპეიკს. **მესამე:** კომუნალური საყველე, რომელიც ქირავდება წელიწადში ხუთას ფრანკად. **მეოთხე:** სახნავი მიწა, რომელიც თემის საკუთრებას შეადგენს და გაქირავებულია 1250 ფრანკად. **მეხუთე:** საბალახე, რომლის ექსპლოატაცია თემის ხელშია და არ არის გაქირავებული. ადგილობრივი მცოდნე პირების დაკვირვებით, თემის მიერ პურის დათესვა, ან ვენახის მოშენება საზარალოა, რადგანაც ის მოითხოვს დიდ შრომას, და ბევრ მუშა ხელს, რომელსაც განსაკუთრებული და ხანგრძლივი ხელმძღვანელობა სჭირია. რაც შეეხება საძოვარ ადგილების მოვლას—ეს უფრო ადვილია. ერთად ერთი შრომა, რომელიც სჭირია საბალახეს—ეს არის ყოველ-წლივ მისი განაყოფიერება ქიმიურ ნივთიერებათა მეოხებით. ერთი კაცისთვის ეს ორი დღის სამუშაოა. მოითხოვს დაახლოვებით ათი ფრანკის დახარჯვას, ხოლო თვით განაყოფიერებელი მასალა ჯდება ყოველწლივ დაახლოვებით 80 ფრანკი. თივის ცელვა და მოგროვება ევალება იმ პირს, ვინც მას ყიდულობს. საშუალო რიცხვით ყოველწლივ შემოუდის თემს საბალახოდან 2500 ფრანკამდის. **მეექვსე.** ბიურტინის თემს აქვს მშვენიერი წყალსადენი, გაყვანილი 1905 წელს. ამ მიზნისთვის თემმა უსესხნია კანტონალურ სამეურნეო ბანკიდან 25 ათასი ფრანკი (3,75%). მცხოვრებლები იხდიან განსაკუთრებულ გადასახადს წყლისთვის, რომელიც ფარავს პროცენტებს და ნაწილობრივ თვით ვალს. როდესაც ვალი სავსებით გასტუმრებული იქნება, წყალსადენით სარგებლობაც უფასო გახდება. **მეშვიდე.** კომმუნას აქვს საკუთარი ტყე, დაახლოვებით 200 ქცევა. ნაწილი ამ ტყის ძველი დროიდან თემის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო ნაწილი უკანასკნელ დროს შეუსყიდიათ კერძო მესაკუთრეებისგან. დღეს კერძო პირებს ტყე, თუ არ მივიღებთ სახეში ბუჩქნარებს, ამ თემში არა აქვთ. ტყეს განაგებს სპეციალური კომისია სამი პირისგან შემდგარი. ამ კომისიაში შედის გამგეობის თავმჯდომარე და ადგილობრივი ტყის მცველი, სახელმწიფო სამსახურში მყოფი, ex officio. ტყის საშუალო წმინდა შემოსავალი წლიურად უდრის 20 ათას ფრანკს.

ჩვენ არ შევეხებით სხვა სათემო წარმოებას, როგორც არის საზოგადო საწონი, სარეცხი და სხ. ვიტყვით მხოლოდ, რომ თემი ბიურტინი საზოგადო ქონების შემოსავლით ფარავს თავის წლიურ ხარჯებს, რომელიც უდრის დაახლოვებით 40 ათას ფრანკს (დაახლოვებით დღევანდელი ჩვენი ფულის კურსით სამი მილიონი მანეთი). ამნაირად იქ დიდი ხანია ხალხს დაავიწყდა, რა არის **სათემო გადასახადი. ეს სრულებით არ არსებობს.** ყველა კულტურული და ადმინისტრატიული მოთხოვნილება ამ საზოგადოებრივ წარმოების შემოსავლით დაკმაყოფილებულია და ხშირად თავისუფლად დარჩენილ თანხას თემი ურიგებს მოქალაქეებს. 1910 წელს თითო თავის სრულწლოვან მოქალაქეს თემმა დაურიგა 15 ფრანკი. ამისთანა მაგალითები აუარებელია შვეიცარიაში.

შვეიცარია ითვლება კერძო საკუთრებაზედ აშენებულ სახელმწიფოდ, ხოლო იქაური გლეხობა ზოგიერთებს წარმოუდგენიათ ყოველივე საზოგადოებრივ ინიციატივის უარმყოფელად და მტრად. ეს უდიდესი შეცდომაა. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც სრულებით არ არის გამონაკლისი, ნათლად ამტკიცებს, თუ რა სარგებლობას მოტანა შეუძლიან საზოგადოებრივ წარმოების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და მისი რაციონალურად მოწყობას. ჩვენს ერობებს და თემებს ამ მხრივ ფართო ასპარეზი ეძლევათ. ყოველი პროგრესიულად მოაზროვნე მოქალაქის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ისეთ პირობების შექმნას ჩვენში, რომ როგორც თემებს, ისე ერობებს ქონდეთ შეძლება თავისი წარმოების შემოსავლით დაფარონ ჩვეულებრივი გასავალი.

ბ. თეკლათელი.

---

*) ამ წერილში მოყვანილი ცნობები ამოღებულია ჟურნალ hes annelles de le reqie di „recte"-დან № 16.

შინაური საქმეები

II

გაზეთებში ყოველ დღე ვხვდებით ამა თუ იმა მოხელის თავხედობაზე მოთქმა-გოდებას. განსაკუთრებით ბევრს სწერენ და ამბობენ მილიციონერების თავგასულობაზე. ადმინისტრაციის მოქმედებას, მის თავის დაჭერას, მოპყრობას ხალხისადმი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, ადმინისტრაცია სარკეა სახელმწიფოს მართვა გამგეობის და მისი რეჟიმის. მის მოქმედებაში ნათლად იხატება თვით სისტემის სრული სურათი და მისი საშვალებით ადვილი ხდება გაცნობა თვით სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. უეჭველია, ადმინისტრაციის დიდ ნაწილს შეგნებული აქვს თავის მძიმე მოვალეობა და კიდევაც ცდილობს გაამართლოს მისდამი ნდობა. მაგრამ არიან ბევრი ისეთები, რომლებთა მოქმედებაა პირდაპირ აუტანელი ხდება და სამწუხარო ისაა, რომ ეს მათი შეუწყნარებელი და სრულიად დაუშვებელი მოქმედება უმეტეს შემთხვევაში სრულიად უყურადღებოთ და დაუსჯელი რჩება. ეს იწვევს საზოგადოებაში სრულიად სამართლიან დრტვინვას და უკმაყოფილებას.

ამ უკმაყოფილების ნიადაგზე ფეხს იკიდებს წყობილებისადმი უნდობლობა და ეს კი მეტად საშიშია ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის.

მექრთამეობა, უდიერი მოპყრობა, შეუგნებლობა თავის მოვალეობის, სურვილი თავის მდგომარეობით განსაკუთრებული პრივილეგიების შექმნისა საერთო სენათ გადაიქცა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად მკაცრი და დაუნდობელი უნდა იყოს.

ადმინისტრაციის მოხელე ერთ წუთსაც არ უნდა ივიწყებდეს რომ ის მოწოდებულია სახელმწიფოს და მოქალაქის სახამსახუროთ და არა წინააღმდეგ.

მრავალ მოქალაქეს, მრავალ გლეხობას ბევრი რამე შეუძლია თქვას ადმინისტრაციის ზოგიერთ წევრების მოქმედებაზე, მარა დღეს ის დატუქსულია, ეშინია შურის ძიების და ამიტომ ჩუმათ არის. ამის მას ზოგიერთი საბუთიც აქვს. აიღეთ თუ გინდ „სახალხო ფურცელი" მე-920 მოთხრობილი ამბავი ცხინვალიდგან. ვინმე მიასურაძე, რომელსაც მთელი რიგი დანაშაულობათა ჩაუდენია, ერთხელ კიდევაც გადაუყენებიათ, დღეს ისევ მილიციის უფროსათ მოვლენია რაიონში, რაღა გასაკვირია, თუ ის შურს იძიებს ყველა მათზე ვინც მისი ბოროტ-მოქმედებანი გამოააშკარავა. ამით დაშინებული, რა თქმა უნდა, ყველა გაჩუმდებოდა და ასე, ბოროტ-მოქმედს ფართე ასპარეზი ეძლევა სათარეშოთ და ხალხის შესავიწროებლათ.

ამჟამათ ადმინისტრაცია ემორჩილება ერობებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება მხოლოდ კონტროლი და საერთო ხელმძღვანელობა.

ზოგიერთმა ერობებმა შესძლეს ადმინისტრაციის სათანადო სიმაღლეზე აყვანა. უმეტესობა კი სამწუხაროთ მეტად სუსტობს ამ მხრით და აქ საჭიროა სამინისტროსთან არსებული ინსპექციის ყოველმხრივი დახმარება. მარა ამ დახმარებას არ უნდა ქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი: ვიყავი, ვნახე და დავარიგეო. დარიგება დარიგებათ, მარა მოვალეობის პირნათლად ასრულება, განწმენდა შემადგენლობის, გაჯანსაღება ზნეობრივათ, შეგნება-შეგვისება იმის რომ ის ხალხის მსახურია, ყოველივე

დღეს

მთავარი შტაბის ცნობით პოლონეთის ჯარები წინსვლას განაგრძობენ.

რუსეთ პოლონეთის საზავო მოლაპარაკება რიგაში დაიწყება 9 სექტემბ.

პოლონური ცნობით ლიტვის ჯარებმა ომის გამოუცხადებლათ გადალახა პოლონეთის საზღვარი.

ლიტვასა და პოლონეთს შორის მოლაპარაკება შესწყდა.

ბოლშევიკების ცნობით ყირიმის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა მოიგერია მტრის იერიშები.

ამას სჭირია სერიოზული და გამუდმებული მუშაობა და ამ მუშაობას სამწუხაროთ დიდი ნაკლი ემჩნევა. ამ ნაკლის გამოსწორება ერთ გადაუდებელ გეგმათ უნდა გაიხადოს, როგორც საადმინისტრაციო ინსპექციამ, ისე ერობებმა.

განი.

პრესა

იმპერიალისტებმა როცა 1914 წელს ომი დაიწყეს, განაცხადეს, ერთა თავისუფლების და საკაცობრიო იდეალისთვის ვიბრძვითო. ამ იდეებით ბევრი დემოკრატიული წრეები იქნა მოჯადოვებული და ომის ფერხულში ჩაება, მაგრამ ზავმა დაგვანახვა, როგორი იყო „ძმობა“ იმპერიალისტების და თავისუფლება გაძარცვულების ნაბოძები. ქვეყანა შეკრა და შებოჭა ანტანტამ.

„კომუნისტს“ სავსებით შეთვისებული აქვს ეს ბურჟუაზიული ხელობა. იგი თავის ომებს განმათავისუფლებელ უწოდებს, სოციალიზმისთვის თავდადებით სახავს, და გონია, რომ რაკი ქათამს თევზი დაარქვა, მარხვის ჭამას ვეღარავინ დააბრალებს.

იმპერიალისტების იდეური სიყალბე და სიცრუე მათმა პრაქტიკამ გამოააშკარავა. ბოლშევიკებსაც ეს პრაქტიკა ანიჭებს თავის ნამდვილ შინაარსს.

ადერბეიჯანი, ჩრდილო კავკასიის ერები, თურქესტანი და სხ. რომელნიც საბჭოთა ჯარებს უპყრია, სომხეთის და საქართველოს საზღვრებზე მომხდარი ამბები აშკარათ მოწმობენ იმას, რომ კომუნიზმის იდეოლოგიით ჩვენ გვევლინება რუსული იმპერიალიზმი.

ამ რიგათ ევროპის ბურჟუაზიის და რუსეთის კომუნისტების ბრძოლაში ჩვენ ვხედავთ ისეთ სისხლისღვრას, რომელსაც მოაქვს არა თავისუფლება, არამედ დაჩაგვრა, არა სოციალიზმი, არამედ განადგურება და უკულტურობა.

განა ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ ჩვენ აქტუალურ ლოზუნგათ მიგვაჩნდეს ომის შეწყვეტა და სისხლის ღვრის შეჩერება?

„კომუნისტს“ გონია, რომ წითელარმიელების ხიშტის წვერზე რევოლიუცია მიმოქრის, ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ამ ხიშტებს მხოლოდ დაჩაგვრა მოაქვთ.

გაზ. „კომუნისტს“ არ მოსწონს ის, რომ ჩვენ რუსეთის კომუნისტთა უკიდურესობაში ვხედავთ იმ გარემოების მიზეზს, რომ ევროპის იმპერიალისტებს გასამართლებელი საბუთი ეძლევათ თავის საომარ მოქმედებაში.

ის გვიკიჟინებს:

„ჭკუით იყავით, კომუნისტებო, ავს ნუ უზამთ მტერს და ავის ნუ გეშინიათ; ნუ შეეხებით ბურჟუაზიის ბატონობას და ისიც არ მოახდენს თქვენზე თავდასხმას, ასე გვარიგებს ჭკუას დარბაისელი გაზეთი, რომელსაც გონია, რომ კომუნიზმის უკიდურესობაა ყოველი უბედურების მიზეზი.“ (კომ. № 27)

ნუ იქნებით ბატონებო, ჭკუით, არამედ იყავით სისულელით, თუ ეს მოგიხდებათ. თუ თქვენ ვერ გრძნობთ, რომ ამ დაუსრულებელ სამოქალაქო ომის საშინელებებში ირღვევა დღეს რუსეთის თავისუფლება, თქვენ მართლაც სისულელით ნაკარნახევი გზა გქონიათ არჩეული. თქვენ თუ შეხარით კიდეც ამ სამოქალაქო ომის დაუსრულებლობას, მაშ რატომ არ ჰკიცხავთ ზავს პოლონეთთან, მოლაპარაკებას ლლოიდ ჯორჯთან და სხვ. მაგრამ როგორც ჩანს თფილისის კომუნისტის „სიბრძნე“ არ ყოფილა საერთო მოსკოვის ყველა ხელმძღვანელთათვის.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„სულ ერთია—არაფერი გამოვა“. ტაშკენტში გაზაფხულზე დანიშნული იყო მემალაროების ყრილობა, რომლის დღის წესრიგში იდგა, სხვათა შორის, საკითხები სატარიფო პოლიტიკის, ნაჭრობითი მუშაობის შესახებ და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომელიც ყოფნა არ ყოფნის საკითხად გადაიქცა მემალაროებისთვის, როგორც ამას აღიარებს ოფიციალური თვიური ორგანო „პროფეს. მოძრაობის უწყებანი“. მაგრამ დასძენს ლაკონიურად იგივე ჟურნალი: ყრილობის მოწვევა უაზრობაა, უბრალო დროის დაკარგვა. სულ ერთია—არაფერი გამოვაო.

თურქესტანში სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობის გამო შესწყდა საფოსტო მიმოსვლა („ვესტ. პროფ. დვიჟენია“ № 3—4).

ცეცხლი. კრასნი კოშს მაზრაში უზარმაზარი ტყე იწვის 15 კვადრატიულ ვერსის სივრცეზე. ყველა მცხოვრებნი ცეცხლის ჩასაქრობათ გაგზავნეს. („კრ. ვოინ.“ № 173.).

აჯანყება ფერგანაში ძლიერდება. ფერგანის ოლქში აჯანყება ბოლშევიკურ ძალაუფლების წინააღმდეგ ძლიერდება. თურქესტანის ბოლშევიკები ეძებენ ახალ საშუალებებს ამ მოძრაობის შესაწყვეტათ. რადგან მისი უხეში ძალით ჩაქრობა ვერ მოხერხდა. ტაშკენტში ახლო ხანში შესდგება განსაკუთრებული თათბირი საბჭოთა პირველი არმიის რევკომის წარმომადგენლის მონაწილეობით საკითხის განსახილველად. ასხაბადიდან გამოწვეული ტაშკენტის 1-ლ არმიის რევკომის წევრი პასკულსკი, რომელიც თურქესტანის მუსულმანთა სულიერ განწყობილების მცოდნეთ ითვლება. („ვ. გ.“).

თურქესტანის კომუნისტები. მუსულმანი დელეგატები, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ჩამოვიდნენ ბაქოში, სრულიადაც არ არიან ისე განწყობილნი, როგორც ამას ბოლშევიკები ამბობენ. თურქესტანის დელეგატები პირდაპირ ამბობენ, რომ პირველ ყოვლისა აუცილებლათ საჭიროა იმათი ქვეყნის ჩრდილოეთის ბატონობისაგან განთავისუფლება. ერთ მათგანს შემდეგი განუცხადებია: „ჩვენი ძმების განთავისუფლება ევროპის იმპერიალისტების უღლიდან მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როდესაც თვით ჩვენ გავნთავისუფლდებით „წითელი ჩრდილოეთის“ კოლონიზატორულ პოლიტიკისაგან. მანამ ბოლშევიკების მიერ აღთქმული თავისუფლება განხორციელდება, ჩვენ ყველა ალბათ შიმშილით დავიხოცებით. მათ სურთ გვაიძულონ ჩვენ ვთესოთ ბამბა, რაც გამოიწვევს შიმშილისაგან სიკვდილს. ცენტრალური რუსეთი იმ ნედლი მასალის მაგიერ, რომელიც ჩვენგან მიაქვს, გვაწვდის ბოლშევიკურ ლიტერატურას და ლამაზ სიტყვებს. ერთი დადებითი რამ კი გვასწავლა საბჭოთა პრაქტიკამ თურქესტანში, ეს არის უსაზღვრო გამბედაობა, თავხედობა. ჩვენი თავხედი, გამბედავი ნაბიჯები პირველად ყოვლისა მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის ცენტრალიზმის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დავამყაროთ თურქესტანში ჭეშმარიტი თავისუფლება. ჩვენ დიდხანს გვეძინა, დიდხანს გვეშინოდა წითელი ტერორისა, დიდხანს ვშიშილობდით და ჩუმათ ვიყავით. ეხლა ჩვენც ვიღვიძებთ“. („ვ. გ.“).

შეშის ნაკლების გამო მინსკის გუბერნიაში შეუდგენ ტორფის დამუშავებას შეშის მაგიერ სახმარათ. ტორფი გაიგზავნება მოსკოვში. („კრ. ვოინ“ № 187).

„წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

„როდის მოეღება ბოლო ომს?“ ამ სათაურით „კრ. ვოინ“-ის № 153-ში შემდეგს სწერს ვინმე გ. იარიკინი: „დამშეული მუშა, უჩექმოთ და უფართლოთ მყოფი გლეხი ხშირათ იძლევიან კითხვას: როდის გათავდება ომი? წითელ არმიელები ამბობენ: სახლიდან ცნობა მოგვდის, რომ ერთის მანდორი დაუთესავია, მეორეს მუშა ხელი არა ყავს. დაიქანცნენ, დაიმშნენ, ტანისამოსი შემოეგლიჯათ. ომს უნდა ბოლო მოეღოს“...

ბოროტ გამზრახველურ საბოტაჟისათვის მე 4 კავ. პოლკის მასწავლებელს მიუსაჯეს 5 წლ. ციხე და იძულებითი მუშაობა. („კრ. ვოინ.“ № 153).

წითელ არმიელების მასხარად აგდებისათვის 3 კავ. პოლკის მე-4 ესკადრონის კომ.-ვზვოდს 1 წლის ციხე მიუსაჯეს. („კრ. ვ. ნ.“ № 153“).

„შავი დღეა“. №-ის პოლკის წითელი არმიელები იოს. მიშუკი, გ. გურომოვი, მუჰამედ ანტრაშანოვი და ა. ფადეევი კომუნისტურ პარტიიდან განდევნეს რადგან ისინი თავის ამხანაგებში აგიტაციას ეწეოდნენ, რომ ვარჯიშობაზე არ გასულიყვნენ. („კრ. ვოინ.“ № 151).

კომუნისტები და ჩვენი დამფუძნებელი კრება. ბაქოს „კრასნი ვოინ“-ში ვინმე გ. ბ. საქართველოს დამფუძნებელ კრებას უძღვნის ცალკე წერილს, სადაც მოჰყავს ზოგიერთი ადგილები ლ. შენგელაიას სიტყვიდან და ის დასკვნა გამოყავს, რომ ქართველი ესერები საცოდავი ხალხია; შემდეგ ემყარება რა შენგელაიას სიტყვას, ამბობს, რომ დამფ. კრებაში განხეთქილება მოხდაო და ასე ახასიათებს დამფუძნებელ კრების განწყობილებას: „სამი წლის განმავლობაში დაუსრულებელ 3 უაზროთ კამათობენ და „მთელი ხალხის წარმომადგენლებმა“ ვერაფერი ისწავლეს: საკანონმდებლო ორგანოს ბ-ნნი დეპუტატები კვლავინდებურად დემოკრატიულ ილიუზიებით სულდგმულობენ. მაგრამ ადერბეიჯანის პროლეტარიატის ცხოველმყოფელი გავლენა იქონიებს ქართულ „უჩრედილკა“-ზე კეთილ გავლენის მოხდენას. საჭირო გახდა თფილისში მუშების აჯანყება და ბათუმიდან ინგლისის ესკადრის წასვლა რომ არეულობა და განხეთქილება („რასკოლი“) მოხდარიყო. რევოლიუციის ლანდი აღემართათ თვალ წინ სოციალ გამცემლებს. ისინი ყვირიან, ერთმანეთს აგინებენ და ყოველ უბედურებას მინისტრებს აბრალებენ“

ყაჩაღობა ახტარაში. რუსულ ახტარაში სოფლებს ხშირად თავს ესხმიან ყაჩაღები, რომლებიც მთებში იმალებიან. ყაჩაღებმა მთიდან მონადენი წყალი გადაუგდეს, რის გამოც დაიღუპა ბრინჯის ნათესები („კრ. ვოინ“ № 148).

„თავისუფალი ვაჭრობა“. ამ სათაურით „კრასნი ვოინში“ მოთავსებულია წერილი გლებ ნაბატოვისა, რომელიც ხსნის იმ გარემოებას, რომ საბჭოთა რუსეთში ადგილი აქვს თავისუფალ ვაჭრობას.—ყველა საქონელზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება ხომ მოასწავებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ძირიან ფესვიან გადატრიალებას. ამ ზომის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა, რომ არა მარტო ქარხნები და ფაბრიკები, არამედ—ყველა სახელოსნოებიც და სხ. გადავიდეს სახელმწიფოს ხელში. ეს კი ნიშნავს სოციალისტურ მეურნეობას, რომლისაკენაც ჩვენ ყველა მივისწრაფით, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ არ დამყარებულა. თუ ჩვენ ვჩივით, რომ სპეკულიანტი უსირცხვილოთ აძრობს მყიდველებს ტყავს, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, რომ ამის მოსპობა მუშათა სახელმწიფოს ჯერ ჯერობით არ შეუძლია შეიძლება მოუხდინოთ რეკვიზიცია მედუქნეების საქონელს. ეს კარგი. მაგრამ მერე ეს საქონელი უნდა განაწილდეს, და აი სწორედ აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე რეკვიზიციით დაგროვილი საქონლის განაწილება ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია. ჩვენ უნდა გადავთვალოთ საქონელი, გადავთვალოთ მცხოვრებნი, იმათი საჭიროებანი და სხ. ყველა ამისათვის საჭიროა დრო, გამოცდილი და პატიოსანი მომუშავენი ამ დარგში; მაგრამ ერთიც და მეორეც ჩვენ არ მოგვეპოვება და თუ მოგვეპოვება, ძალიან ცოტა“. („კრას. ვოინ.“ № 148).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 სექტემბერი.

ბოლშევიკების ცნობები

ახალგაზრდობის სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ეკატერინბურგი. საერთო განათლების გამგეობა იწყებს ბრძოლას ბავშვების სპეკულიაციასა და ბოროტებასთან. საგანგებო კომისია იმუშავებს გეგმას, რათა ახალგაზრდა სპეკულიანტები ჩაითრიოს მუშაობაში. ამ მიზნით სოფლებში სახელოსნოები არსდება.

საგარეო ვაჭრობა.

ტიუმენი. აგვ. 2 ტობოლსკიდან საზღვარ-გარეთ საქონელზე გადასაცვლელად გაიგზავნა ბეწვეულობა. ჩრდილოეთ საზღვაო გზის წარმომადგენელს სულ 22,000 ტყავი გადაეცა.

კორეიაში.

ომსკი. აგვ. 31. კორეიაში დაპატიმრება ისევ დაიწყეს. დააპატიმრეს მრავალი მოსწავლე კორეის დროებით მთავრობის პროკლამაციებით. კორეელების მიერ აღიარებულ დროებითი მთავრობის ყველა საიდუმლო განკარგულება დაუბრკოლებლივ სრულდება.

ლიტვა და პოლონეთი.

ბერლინი. 3 სექ. მიუხედავათ პოლონეთსა და ლიტვას შორის სადემარკაციო ხაზის დაწესებისა პოლონელებმა სუვალკი, ავგუსტოვო და სხ. დაიკავეს. პოლონეთის სამხ. კომისიას წინადადება მისცეს დასტოვოს ლიტვის მიდამოები. ლიტვასა და პოლონეთს შორის მოლაპარაკება შესწყდა.

სამხედრო ცნობა.

ბელოსტოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა ცვალებადია. გრუბეშოვის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა, წამოიყვანა 200 ტყვე, როგატინის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის ფრონტი გაარღვია და ბრძოლით პოდგამენი აიღო, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო 4 ზარბაზანი.

ყირიმის მხარე. პერეიასლავის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია და მას დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენმა ჯარმა გაანადგურა მტრის 3 ტანკი, აქედან ორი ჩვენ დაგვრჩა

იტალია.

ნეაპოლში ლითონის მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქარხნები.

ტერორი.

აგვ. 31. პეტროგრადში მოხდა საზიზღარი მკვლელობა ფინეთის კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტისა და ფაქტიური წევრებისა. საღამოს, მუშათა კლუბის შენობაში, როდესაც პარტიის წევრთ კრება ჰქონდათ, შემოიჭრნენ შეიარაღებული ფინები და რევოლვერის ტყვიით მოჰკლეს ცენტრ. კომიტეტის 2 წევრი და პარტიის პასუხისმგებელ პირებს სროლა აუტეხეს. სროლის დროს დაიჭრა და მოკვდა 7 ამხანაგი. ბოროტების ჩადენის შემდეგ ბოროტმოქმედნი წავიდნენ, მაგრამ მათ იარაღი აჰყარა სროლის ხმაზე მოსულმა მილიციამ. საქმის გამოძიება მიენდო კომისიას მერჟინსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც მალე აღმოაჩინა ფინეთ თეთრ-გვარდიელთა მოფიქრებული გეგმა.

ფრანგული ცნობები

საფრანგეთი და ბელგია.

შაბათს მილიერანს ხანგრძლივი ბაასი ქონდა ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დელაკრუასთან. ბაასი შეეხებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებს. რუსეთ-პოლონეთის კონფლიქტის საკითხში შეთანხმდნენ, რომ ორივე სახელმწიფომ გაერთიანებულად იმოქმედოს. სამხედრო შეთანხმების ძალაში შესვლა რამდენადმე ბრკოლდება, რადგანაც საჭიროა, რომ სამხედრო ექსპერტებს მიეცეს დრო ზოგიერთ დეტალში შეთანხმებისა.

ბუქარესტის მოლაპარაკება.

გაზეთი „მატენი“ გენერალ ავარესკუს დაალებით აცხადებს, რომ ბუქარესტის მოლაპარაკებას აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხასიათი ქონდა და რაც შეეხება შეთანხმებას, ამაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევია.

უთანხმოება ქემალისტთა შორის.

სტამბოლიდან მოსული ცნობით ქემალისტების ჯარის უფროსთა შორის უთანხმოება გაჩენილა, უშაკას ოკუპაციისა და ესკიშაჰრზე საბერძნეთის ჯარების თავდასხმის გამო.

გერმანიის ვაჭრობა.

გერმანიამ 1919 წლიდან 1920 მდე დიდ ბრიტანეთში შეიტანა 10.027.000 გირვანქა სტერლინგის საქონელი. შეიტანა უმთავრესად ქიმიური პრეპარატები, საღებავები და სხვა. ინგლისს კი ამავე ხნის განმავლობაში შეუტანია 23 296.000 გირვანქა სტერლინგად ღირებული.

ლიონის ცნობები

ინციდენტი ბრესლავლში.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად კვირას ინახულა ბერლინში მყოფი საფრანგეთის ელჩი და ბრესლავლში მომხდარი ინციდენტის გამო გერმანიის მთავრობის სახელით ბოდიში მოიხადეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, სწერს ამის შესახებ „ჟურნალ დე დება“, რომ ჩვენ თავიდანვე ასეთი ზომების მიღებით გერმანიის ხალხს დახმარებას ვუწევთ. რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდეგ დარწმუნდებიან, რომ მათი იმედი რევანშის შესახებ არაფერზე არ არის დამყარებული და მაშინ მთელ თავის ძალას შინაურ აღშენებლობას მოანდომებენ. ეს კი სასარგებლო იქნება, როგორც გერმანიისათვის, ისე ჩვენთვისაც და საერთოდ მთელი ქვეყნისათვისაც. (დამახინჯებულია).

მარნის ბრძოლის ექვსი წლის თავი.

კვირას მილიერანის, საფრანგეთის მარშლების და მრავალ გამოჩენილ მოღვაწეების თანდასწრებით მარნის ბრძოლის პირველ გამარჯვების ექვსი წლის თავი იდღესასწაულეს.

იტალიური ცნობები

რომი. ენკ. 6. გერმანიამ აგვისტოში ანტანტას თანახმად სპას კონფერენციის დადგენილებისა 2 მილიონი ტონი ქვანახშირი გადასცა.

— პარიზიდან ჩამოვიდა იაპონიის ახალი ელჩი.

— გერმანიის მთავრობა მონაწილეობას მიიღებს იმ საფინანსო კონფერენციაში, რომელიც სექტ. 24 შესდგება.

ვარშავა. სექტ. 6. მთავარი შტაბი იუწყება; პოლონეთის ჯარები წინსვლას განაგრძობენო.

ლონდონი. სექტ. 6. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: გენ. ვრანგელის ჯარებმა მარიუპოლი დასტოვაო.

ლიონი. სექტ. 7. (საბერძნ. რად.) პოლონელები იუწყებიან: ლიტოველთა ჯარები ომის გამოუცხადებლათ თავს დაესხა ჩვენს ჯარებს და საზღვარი გადმოლახაო. მტრის 3 დივიზიონი, რომელიც შეტევაზე გადმოვიდა, უკუ-ვაგდეთ.

— „ტაიმს“-ი იუწყება გენ. ვრანგელის გამარჯვებულ წინსვლის შესახებ: წითლებმა დაისახეს (გამოტოვებულია)...სკენ.

— მოკავშირეთა ელჩების უახლოესი კონფერენცია დანიშნულია ორშაბათისათვის. კონფერენციაზე ითავმჯდომარეებს პალეოლოგი. (დ. ს.).

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

7 სექტემბერი.

სამხედრო ცნობა.

6 აგვისტო.

მოსკოვი. 7 აგვ. **პოლონეთის ფრონტი.** ბელოსტოკის სამხრეთ აღმოსავლეთით ცვალებადი ხასიათის ბრძოლაა. გრუბეშოვის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევინა და 200 ტყვე წამო ყვანა. როგაჩინის რაიონში ჩვენმა ჯარმა ფრონტი გაარღვია, ბრძოლით აიღო დაბა პოდკამენიე და ხელთ იგდო 4 ზარბაზანი.

ყირიმის მხარე. პერესლავის რაიონში ჩვენმა ჯარმა კიდევ მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევა, დიდათ დააზარალა იგი და სროლით დაუზიანა 3 ტანკი, რომელთაგან 2 ჩვენ წამოვიღეთ.

რეს. „რევვოენსოვეტის“ საველე შტაბის ვოენკომი დანიშევსკი.

4 სექტემბრის სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 5 სექტ. (რადიო) ბრესტ-ლიტოვსკის აღმოსავლეთით 12 ვერსის სიშორეზე ბრძოლა გრძელდება. სოკოლის დასავლეთით 40 ვერსზე და სოკოლკის სამხ. 12 ვერ. ბრძოლაა. ლვოვის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. გამარჯვება ხან ერთ, ხან მეორე მხარეზეა. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ თოფები. ყირიმის მხარეზე პერესლავის რაიონში მტრის შეუდგარ იერიშებს ვიგერიებთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი ტყვიები. ტამანის ნახევარ კუნძულზე მოწინააღმდეგის დესანტი საბოლოოდ დავამარცხეთ და მისი დანარჩენები ვაიძულეთ ხმელეთი სრულიად დაეტოვებინათ. რეს. „რევვოენსოვეტის“ საველე შტაბის ვოენკომი **დანიშევსკი.**

პოლონეთი და ლიტვა.

ბერლინი, 3 სექტ. (რადიო) მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთსა და ლიტვას შორის სადემარკაციო ხაზი გაყვანილი, პოლონეთის ჯარმა სუვალკი და ავგუსტოვო დაიჭირა. პოლონეთის სამხედრო მისიას კოვნოში წინადადება მისცეს დასტოვოს ლიტვის მიწა წყალი. მოლაპარაკება პოლონეთსა და ლიტვას შორის შესწყდა.

კონფერენცია რიგაში.

ლონდონი, 7 სექტ. (რადიო). რიგიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება 9 სექტემბერს დაიწყება.

ნაციონალისტების მისია.

ლონდონი, 7 სექტ. ბერლინიდან ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ იქ ჩავიდა მოსკოვში მიმავალი ოსმალეთის ნაციონალისტთა მისია.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

ბაქო, 5 სექტ. 4 სექტემბერს შესდგა 2 სხდომა. საღამოს სხდომაზე დასავლეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ერთა ლიგა და ავსტრალია.

მელბურნი, აგვ. 24. ავსტრალიამ გადაწყვიტა ჟენევის ხალხთა ლიგის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებათ თავის წარმომადგენლად გააგზავნოს საბჭოს მინისტრთა თავმჯდომარე.

ამერიკა და რუსეთი.

ვაშინგტონი. აგვ. 20. „ჩიკაგო ტრიბუნ“ ბეჭდავს რუსეთში ამერიკის ელჩად ნამყოფ გ. ფრენსისის ნაამბობს, სადაც ის ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა 6 თვეში უეჭველად დაეცემაო. ფრენსისი ამტკიცებს, რომ რუსი ხალხის მეათედიც კი არ უჭერს ბოლშევიზმს მხარსო, ფრენსისი დიდ დემოკრატიულ რუსეთის შექმნის საჭიროებას აღიარებს. ეს საჭიროა არა მარტო ევროპისა და განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპის წონასწორობისათვის, არამედ თვით დემოკრატიულ იდეების განვითარებისათვისაც, თუმცა ამერიკა არ ფიქრობს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, მაგრამ მას თავის მოვალეობათ მიაჩნია ამერიკის ნოტაში გამოთქმული აზრი ამა თუ იმ საშუალებით გადასცეს რუსის ხალხს.

სერბიის ხორბალი.

სტამბოლი, აგვ. 28. სერბიისა და მაკედონიის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო იუწყება: შეძლება გატანილ იქნას სერბია-მაკედონიიდან უცხოეთის ბაზარზე 248 ვაგონი ხორბალი და ამდენ ვე სიმინდიო.

წყალდიდობა.

პარიზი, აგვ. 24. ესპანეთიდან მოსული ცნობით ესპანეთის ზოგიერთ კუნძულზე დიდი წყალდიდობა ყოფილა. დაიღუპულა მთელი ქალაქი და სოფლები.

ოსმალეთის ჯარი.

სტამბოლი. აგვ. 28. ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთის ჯარი უნდა შესდგებოდეს 5 დივიზიისაგან. თვითეულ დივიზიის რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 3000 კაცს. ამ ჯარს სულ 845 უფროსი ეყოლება.

ბერლინი. აგვ. 24 „ფოსიშე-ცაიტუნგის“ ცნობით ინგლისის მთავრობამ დააპატიმრა და დიდი ბრიტანეთის საზღვრებიდან გააძევა საბჭოთა რუსეთის ნიორკში მყოფ სავაჭრო მისიის მდივანი ნუორტევი. უკანასკნელად იგი ლონდონში კრასინს ეხმარებოდა.

სამხედრო ცენზურა.

პოლონეთის მთავრობამ სამხედრო ცენზურა დააწესა გერმანიაში გასაგზავნ და გერმანიიდან მოსულ წერილებზე.

ამერიკის ბაზარზე.

ამერიკის ბაზარზე შენიშნულია ქაღალდის სიმცირე და შრომის ხელფასის გაძვირება. ამის გამო თანდათანობით ხდება ზოგიერთი მსხვილი გაზეთების გაერთიანება.

უკრაინის შესახებ.

ვენა. 23 აგვ. „ნერ აბენდი“ იუწყება: ანტანტის წრეებში კვლავ დაისვა საკითხი უკრაინის დამოუკიდებლობის ფაქტიურ ცნობის შესახებ.

ვრანგელი და პოლონეთი.

ბერლინი. 20 აგვისტო. აქ მიღებული „კრასნაია გაზეტა“ იუწყება: ვრანგელს 70.000 ჯარისკაცი ჰყავს მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარები აქ ძლიერ მცირე რიცხვს შეადგენსო.

თანახმად იმავე ცნობისა, პოლონეთის მთავრობამ გენერალ ბრედოვის ყოფილ ლაშქრის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც პოლონეთში დაიკავეს, ვრანგელის ჯარში გაუგზავნია

ბათომში შეტანილი საქონელი.

ლონდონი. 20 აგვ. „ბუარ-ოფ ტრეტ. ჟურნალი“ იუწყება: უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ბათომში შეიტანეს 346.361 ფუთი სურსათ-სანოვაგე, 22.455 ფუთი სპირტი, 9.115 ფუთი ქონი, 107.100 ფუთი რკინეულება და ქიმიური ნივთიერება 9.220 ფუთი მატყლი, 21.400 ტყავი და ქაღალდი და 27.510 ფუთი მანუფაქტურა.

ჯიოლიტის სიტყვა.

რომი. 24 აგვ. ჯიოლიტმა პალატაში გამოსვლისას იტალიის მსხვილი სავაჭრო სამრეწველო წრეები და ბანკირები გაკიცხა“. ჟურნალ დე იტალიის „სიტყვით ჯიოლიტის განუცხადებია: მიიღო რა მხედველობაში ქვეყნის და პარლამენტის ხმა, რომელიც ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენასა სიმდიდრის კონცენტრაციის ხელის შეშლას ითხოვდა, მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიული ბრძოლის წარმოება სპეკულიაციის წინააღმდეგ. კაპიტალისტებმა გადასწყვიტეს, სთქვა ჯიოლიტმა, მთავრობის პრესტიჟის დასაცემად მის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება. სახელმწიფოში ხელოვნური ეკონომიური დაბრკოლებანი შექმნეს, დასცეს ფულის კურსი და ხელოვნურ გაფიცვების მოწყობასაც შეუდგნენ. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ასეთ მოქმედების გამოსარკვევად მთავრობამ აირჩია საგანგებო კომისია და იგი განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვა.

ინგლისი და რუსეთი.

პარიზი. 25 აგვ. ჟურნალ „დე-დება“ აღნიშნავს: ინგლისს რომ მართლა მოსკოვთან შეთანხმება დაედო, იგი მთელ თავის ისტორიულ არსებობის განმავლობაში სასაცილო მდგომარეობაში პირველად ჩავარდებოდა, მისი პოლიტიკა მოსკოვის პოლიციის წითელ აგენტებს დაექვემდებარებოდა. ინგლისის უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საბჭოთა მთავრობას სერიოზულ ყურადღებას აქცევსო.

იაპონია და რუსეთი

სტამბოლი, სექტ. 1. რადიოთი მიღებული ცნობით იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. დეკლარაცია აღნიშნავს: დღეს რუსეთში არაა ისეთი მდგომარეობა, რომ მასთან მოლაპარაკება შეიძლებოდეს. ამიტომ რუსეთში ნორმალურ ცხოვრების აღდგენამდე და პასუხისმგებელ მთავრობის შედგენამდე იაპონია იძულებულია თავისი შეიარაღებული ძალები სახალინში იყოლიოს.

ევროპის სოც. დელეგაცია საქართველოში

საქართველოს ს. დ. პარტიის ცენტრალურმა დაადგინა შესდგეს სპეციალური კომისია ამხ. ბიკ. თევზაიას თავმჯდომარეობით, რომელიც შეიმუშავებს მთლიან გეგმას უცხოელ სტუმრების მიღებისას.

6 სექტემბერს კომისიას ჰქონდა პირველი სხდომა. გამოირკვა, რომ ევროპის მუშათა დელეგაცია მოვა ბათომში 14 სექტემბერს და დარჩება საქართველოში დაახლოვებით ათ დღეს. კომისიამ თავის პირველ სხდომაზედ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ მასალების შეგროვებას. ამისთვის იქნა არჩეული სპეციალური კომისია სამი წევრისგან: გ. გიორგაძე, დ. შარაშიძე და ბ. თევზაია.

—

მთავრობის თავმჯდომარემ რომიდან გვარჯალაძისაგან მიიღო ასეთი შინაარსის რადიო: სექტემბრის 4 გამოვედით ტორენტოდან. სექტემბრის 14 ბათომს ვიქნებით. საქართველოში მოდიან: კარლ-კაუცკი, ლუიზა კაუცკაია, ინგლისიდან: მაკდონალდი, ტომას შოუ და ქ-ნი სნოუდენი, საფრანგეთიდან: რენოდელი და მარკე, ბელგიიდან: ვანდერველდე, გუისმანსი, გუისმანსის ქალი, გუისმანსის მეუღლე და დებრიუკერი—სულ 15 კაცი.

—

დამფ. კრების თავმჯდომარის კაბინეტში სექტ. 8 დღის 12 საათზე შესდგება დამ. კრ. პრეზიდიუმის კრება ფრაქციათა წარმომადგენლების მონაწილეობით. განიხილავენ დელეგაციის შეხვედრის საკითხს.

ერობათა კავშირის მოწოდება.

საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ცხოვრებამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და ამ ბოლო დროს მომქმედი პოლიტიკური პარტიები ძლიერ დაინტერესა.

ცნობაა და ცნობა უტყუარი, რომ საქართველოს მალე ესტუმრება საზღვარ გარეთიდან საგანგებო დელეგაცია სოციალისტებისა. დელეგაციაში შედიან ცნობილი წარმომადგენელნი და მეც-

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება

(იხილე „ერთ.“ № 191)

ბულგარეთი

1879 წ. კონსტიტუციის ძალით ბულგარეთი წარმოადგენს მემკვიდრეობით და **კონსტიტუციონურ მონარქიას,** სადაც მეფესთან ერთად სახალხო წარმომადგენლობა კანონმდებლობს.

უზრუნველყოფილია პიროვნების თავისუფლება, ბინის ხელშეუხებლობა, კრების, წერის, სიტყვის, კავშირის და რწმენის თავისუფლება,

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს და **ერთ პალატიან პარლამენტს—სახალხო კრებას.** ეს არის ჩვეულებრივი სახალხო კრება.

სახალხო კრება ირჩევა 5 წლით. ყოველ 20,000 მცხოვრებს ერთი დეპუტატი ჰყავს. საარჩევნო ოლქებია. არჩევნები პირდაპირია. ცენზი არაა. ქალი პოლიტიკურათ უუფლებოა. არჩეული შეიძლება იქნეს ყოველი წერა კითხვის მცოდნე მოქალაქე, რომელსაც უფლება შეუზღუდველი აქვს და შესრულებია 30 წელი. პარლამენტს სესიები ხანმოკლეა. აღსანიშნავია, რომ საარჩევო უფლება არა აქვთ ციგნებს—არაქრისტიანებს და საზოგადოთ უბინადრო ციგნებს.

დეპუტატი უპასუხისმგებლოა პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვებისა და ხმის მიცემისათვის. იგი შეუვალია. ეძლევა საგზაო და დღიური.

მეფე უპასუხისმგებლოა, მისი უფლებაა—მოიწვიოს, გადასდვას და დაითხოვოს პარლამენტი, დაამტკიცოს კანონი, გამოაცხადოს ომი, შეკრას ზავი, დასდვას ხელშეკრულება, უწინამძღვროს ჯარს, დანიშნოს და დაითხოვოს მინისტრები, შეიწყალოს სისხლის სამართლის დამნაშავენი (გარდა მინისტრებისა) და სხ. პარლამენტის დასვენების დროს მეფეს შეუძლიან გამოსცეს კანონის ძალით აღჭურვილი განკარგულება, რომელიც, მნიშვნელობას კარგავს, თუ პარლამენტმა არ მოიწონა.

არის სამინისტროთა პასუხისმგებლობა სახალხო კრების წინაშე. უმაღლესი აღმასრულებელი დაწესებულებანია: მინისტრთა საბჭო და სამინისტროები.

კონსტიტუციის გადასინჯვას უნდა მიემხროს სახალხო კრების წევრთა ორ მესამედზე მეტი. მაშინ იკრიბება **დიდი სახალხო კრება** დეპუტატთა გაორებული რაოდენობით. გადასინჯვა უნდა მიიღოს დიდმა კრებამ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. დიდი კრების მოწვევაა საჭირო აგრეთვე ახალი მეფის ასარჩევად, ტერიტორიის საკითხის გადასაჭრელად და სხ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბულგარეთში დამოუკიდებელი სასამართლო არის, მოსამართლე მხოლოდ 15 წლის შემდეგ ხდება გადაუყენებელი.

თვითმართველობა შეზღუდულია. არის შესაძლებელი ადმინისტრაციის ჩარევა თვითმართველობის ცხოვრებაში.

ეკლესია და სახელმწიფო განუშორებელნი არიან.

ბულგარეთი ბალკანეთის ომის შემდეგ პოლიტიკურად მოღონიერდა. მაგრამ საერთაშორისო ომმა ძალიან ჩამოაქვეითა. მაკედონიას ის იერთებს, რის გამო ბალკანეთში დიდი შინაური შფოთი და ალიაქოთია. ტახტი შერყეულია. პოლიტიკური ატმოსფერა ბუნდოვანია. საერთოდ ბულგარეთი დიდ კულტუროსნობას ვერ დაიკვეხებს. აქვს ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიქტი.

ნ. საქარელი.

ნიერნი სოციალიზმისა დასავლეთ ევროპაში. დელეგაცია უეჭველათ მოისურვებს ადგილობრივ გაეცნოს საქართველოში პოლიტიკურ და სხვ. მდგომარეობას. ამ შემთხვევაში უმთავრესი და პირველი მ მწოდებელი ცნობებისა, რასაკვირველია, ერობების ერთეულები იქნებიან, რომლებიც არიან ადგილობრივ ყოველთვის გამომხატველნი და მომქმედნი.

აღნიშნულის მიხედვით სამაზრო ერობათა გამგეობანი, უეჭველად დაუყონებლივ შეუდგებიან სათანადო სამზადისს, ეხლავე მოახდენენ საჭირო განკარგულებებს „თემების“ მიმართ და დაამზადებენ ყოველივე მასალას, რომელიც შეიძლება მოითხოვის დელეგაციამ, რომლის გადაცემა სასურველია.

ერობათა კავშირი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ერობათა ერთეულები როგორც სამაზრო, ისე თემების, ყოველივეს იღონებენ და შექმნიან სათანადო პირობებს, რათა მომავალმა დელეგაციამ თავის თვალით ინახულოს, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს ერთ ხელში ხმალი ეკავა და ეხლაც უკავია შემოსეულ მტერთა მოსაგერებლად და ასალაგმავად.

ახალი ამბები

დღეს დილის 8 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომა.

✦ **საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში.** დე-მარტელი იუწყება: საფრანგეთის უმაღლეს კომისრათ ამიერ-კავკასიაში იქნება შევალიე, პარიზის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, „ტანი“-ს თანამშრომელი, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში საფრანგეთის წარმომადგენლად იყო ნორვეგიაში. დროებით საფრანგეთის წარმომადგენლის მოვალეობას შეასრულებს საფრანგეთის კომისარი ნეტმანი.

✦ **საქართველო და რუსეთი.** სექტემბრის 8 საღამოს 6 საათზე, ფინანსთა სამინისტროს ბინაზე მოხდება ამავე სამინისტროს საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც გაირჩევა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დასადებ ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტით უნდა იხელმძღვანელოს გ. მახარაძის ეკონომიურმა მისიამ, რომელიც სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ამ დღეებში რუსეთს მიემგზავრება.

გერმანიის მისიის შუამდგომლობა. გერმანიის მისიამ შუამდგომლობა აღძრა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა მის წარმომადგენელს უფლება მისცენ დამფუძნებელ კრების ბიბლიოთეკით სარგებლობისა. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ივლისში შემოსვლია საფოსტო ოპერაციებისაგან—4,203,000 მან. სატელეგრაფო განყოფილებისაგან — 4,560,000 მან. ტელეფონებიდან—2,240,000 მან. სულ შემოსავალი ყოფილა—11,000,000 მან. წარსული წლის ამავე თვეში გაცილებით ნაკლები ყოფილა შემოსავალი

✦ **ახალი ქართული სკოლა.** გაიხსნა ახალი ცენტრალური მე-6 ქართული ქალაქის სკოლა, კათოლიკეთა ქ. № 6, შუა ბაზარი. მოწაფეები მიიღებიან ყველა განყოფილებებში, მიღება 8—15 სექტემბრამდე, ყოველ დღე 8—12 საათამდე.

✦ **ნავთი მცხოვრებლებს.** სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ნავთზე დაწესდა ახალი ნიხრი მე 6 7 8 9 10 11 და 12 კომისარიატის რაიონებში ნავთი მცხოვრებთ ფუთი 320 მან. მიეცემა (გირ. 8 მ). 1 2 3 4 და 5 რაიონებში ფუთი 330 მ. ეღირება (გირვანქა 8 მ. 25 კ.)

✦ **მელითონეთა საჩივარი.** მელითონე მუშების პროფ. კავშირმა სატარიფო პალატაში საჩივარი აღძრა: მრეწველები უკანასკნელ მომატებას არ აძლევენ მუშებს და თავს იმით იმართლებენ, რომ ამის შესახებ ოფიციალური ცნობა არ მიგვიღიაო, მუშები სთხოვენ სატარიფო პალატას მიიღოს ზომები დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

✦ **პური მუშებისათვის.** შრ.-მ-ს სამინისტროს მუშათა მაგიდა იუწყება, სექტემბრის ექვს მუშებსა და მოსამსახურეებს პური მხოლოდ ნაწილობრივად მიეცა. ეს გამოიწვია 4 წისქვილის გაფუჭებამ და მაშასადამე ფქვილის უქონლობამ. მიღებულია ზომები, რომ პურის მიწოდება მუშებისა და მოსამსახურეებისადმი წესიერათ სწარმოებდეს.

✦ **გორის ერობა.** გორის ერობის გამგეობამ დაადგინა: აიღოს აბასთუმანში იჯარით ერთი სახლი და მოაწყოს შიგ სანატორიუმი ერობის მოსამსახურეთათვის. გორის სამაზრო ერობამ მიწის ძვრისაგან 29 დაქცეული სოფლის აღდგენის გეგმა დაამტკიცა.

✦ **ტყის გაშენება.** მიწად-მოქმედების სატყეო განყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ტყის გაჩეხის გამო, გაჩნდა ბუჩქნარები, რომლებიც ტყის საუკეთესო ჯიშის ნორმალურ ზრდას ხელს უშლის. ამიტომ განზრახულია ამ ბუჩქნარების გაჩეხა და მათ ალაგას საუკეთესო ჯიშის გაშენება.

✦ **ს. ავალიანის გამგზავრება.** ს. ავალიანი, მიწად-მოქმედების მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ მალანიასთან და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთან ერთად რკინის გზელთა სასურსათო ორგანიზაციის მდგომარეობის გასაცნობად მიემგზავრება. რკინის გზელებმა თავის ოპერაციების გასაფართოვებლად განსაზღვრული თანხა გამოითხოვა.

✦ **სამკურნალო დახმარება.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა აღძრა საკითხი დამფუძნებელ კრების მოსამსახურეთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

✦ **გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი** წინანდალში (თელავის მაზრა) და თერჯოლაში (შორაპნის მაზრა.)

✦ **სახელმწიფო თეატრის კომისრის განცხადება.** დრამატიულის, ბალეტის და ამგვარ სკოლების გახსნის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით სახელმწიფო თეატრის კომისარს, რომელიც იშუამდგომლებს სახალხო განათლების მინისტრთან ნებართვის აღების შესახებ. ამ წესის დამრღვევნი დაისჯებიან.

✦ **სახალხო სახლი.** ზუბალაშვილის სახ. სახლ. არსებ. ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე სეზონს ხსნის 19 ამა ენკენისთვეს პიესა „დალატით“. რეჟისორად მოწვეულია კ. შათირიშვილი, რომელმაც რამოდენიმე ახალი პიესები მოამზადა. რეპერტუარი შემდგარია საუკეთესო პიესებისაგან.

✦ ნიკო ტრაპაიძემ წლის ბოლომდე გაუწერა „სოფლის მუშა“ შუა სურების სამკითხველოს.

პროვინციის ქრონიკა.

სამტრედია. პარასკევს, დილის ათ საათზე, არის დანიშნული სამტრედიის რაიონული ს. დ. კომიტეტის სხდომა. მოწვეულია ქუთაისის სამაზრო კომიტეტიდან წარმომადგენელი. სთხოვენ კომიტეტის წევრებს დაესწრონ. გასარჩევია საყურადღებო საკითხები.

ქ. სიღნაღში დაარსდა ფილიალური განყოფილება ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა. ყველა დაწესებულებამ ქალაქის თვითმართველობამ, ერობამ, კოოპერატივთა კავშირმა გადასდო ერთდროულათ თანხა სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტების შესაძენად 1.000 000 მან., თვიურად 8,000 მ. დაენიშნა კაპელმეისტერს, სიმღერა—გუნდის და ფორტეპიანოს მასწავლებლებს. ახლად დაარსებულ ფილიალურმა განყოფილებამ მიმართა მთავარ გამგეობას, რათა მან ორგანიზაციულად მოაწყოს ქ. სიღნაღის სამუსიკო სკოლა.

საქართველოს მოქალაქენი აზერბეიჯანში

სია იმ მოქალაქეთა, რომლებიც შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო, თანახმად სხვადასხვა პირის თხოვნისა შეეკითხა საქართველოს წარმომადგენელს ბაქოში და მიიღო შემდეგი პასუხი:

1) პეტრე პავლეს ძე ანდრეევსკი ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მსახურობს, კარგად არის.

2) ვიქტორ ალექსის ძე შალიბაშვილი დაპატიმრებულია განჯაში, საქართველოს წარმომადგენლის მიერ აღძრულია შუამდგომლობა მის განთავისუფლების შესახებ.

3) მიხეილ ხარანოვი განთავისუფლებულია და მალე გაემგზავრება თფილისს.

4) სოლომონ და დავით ჯაჯავაძეები კარგათ არიან და პირველ შესაძლებლობის თანავე გაემგზავრებიან თფილისს.

5) სერაფიმე ვასილისძე ზაკულია ბაილოვის ციხეში ზის, ბრალდება სამი ბოლშევიკის მოკვლა და მისჯილი აქვს 10 წლის იძულებითი მუშაობა.

7) ახალციხის ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ საქართველოს წარმომადგენელი ბაქოში იტყობინება, რომ მოქალაქე ილია ხარაიშვილი (იგივე ხარამ დავიდოშვილი) და მოქალაქე იოსებ აბრამიძე ნოდიაშვილი ბაქოში არ იმყოფებოდნენ და არც ამჟამად იმყოფებიან.

7) კონსტანტინე ტერ-აბრამოვი დაპატიმრებული არ ყოფილა. ნებართვა მიღებული აქვს. პირველ შესაძლებლობისთანავე თფილისს წამოვა.

ბათომი

ბათომის ნავთსადგურში სდგას ოთხი სამხედრო გემი: ინგლისის ნაღმიანი კრეისერი „კონკორი“, იტალიის ნაღმოსანი კრეისერი „აკერდატი“, საფრანგეთის ნაღმოსანი „ტანიური“ და ამერიკის „213“.

სექტემბრის 6, გემ „შეფილდით“ სტამბოლიდან ბათომს მოვიდნენ ინგლისის მთავრობის მიერ გადასახლებული ბათომელთა ერთი ჯგუფი.

ბათომის ნავთსადგურში დაიქირავეს უცხოეთის ერთი დიდი გემი რუმინეთში საქართველოში ნაყიდ ნახშირის წასაღებად. იმავე გემმა რუმინეთიდან საქართველოში პური უნდა მოიტანოს.

ევ. გეგეჭკორის მოგზაურობა ევროპაში

სტამბოლი. 22 აგვ. (საკუთარი კორ.). აგვისტოს 18 საგარეო მინისტრი ევ. გეგეჭკორი ინგლისის ნაღმოსანით ევროპას გაემგზავრა. გემის ადმინისტრაცია ე. გეგეჭკორს, მასთან ერთად საზღვარ გარეთ გამგზავრებულ მომარაგების მინისტრს ი. ქიქინაძეს და საქართველოს წარმომადგენელს ინგლისის მთავრობასთან ლამბაშიძეს დიდი პატივისცემით შეხვდა. აგვისტოს 21 ინგლისის გამანადგურებელი ბოსფორში შევიდა და მივიდა ინგლისის დრედნოუტთან „რკინის ჰერცოგთან“, რომელზედაც კონსტანტინეპოლში მყოფი ინგლისის უმაღლესი კომისარი და ფლოტის უფროსი დე რობეკი ცხოვრობს. რამდენიმე წუთის შემდეგ გამანადგურებელთან მივიდა გენერალურ შტაბის უფროსი ფიშერი, რომელმაც ადმირალ დე რობეკის სახელით განაცხადა, „დე-რობეკმა მომ ნდო მე ვეახლო და მივესალმო ძვირფას სტუმარს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს და გარეშე საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს. ადმირალი უკვე საელჩოშია და უცდის მის მიბრძანებას“, შემდეგ გეგეჭკორი მასი თანხლებით გადვიდა ნაპირზე, სადაც მას უცდიდა ინგლისის საელჩოს მიერ გამოგზავნილი ავტომობილი. გამომშვიდობებისას ლამბაშიძემ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სახელით მადლობა გადაუხადა გამანადგურებელის ადმინისტრაციას მოგზაურობის დროს გამოჩენილ ზრუნველობისა და განუსაზღვრელ პატივისცემისათვის. „ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მთავრობის ბრძანებაო“—უპასუხა პოლკოვნიკმა პოლასმა.

კონსტანტინოპოლში ევ. გეგეჭკორმა პირველად ინახულა საქართველოს საელჩო, რომელსაც კიდევ არ ჰქონდა მიღებული ცნობა მთავრობის თავმჯდომარის ჩასვლის შესახებ. გრ. რცხილაძე და მისი თანამშრომლები აღფრთოვანებით შეხვდნენ ე. გეგეჭკორს და მწუხარება გამოსთქვეს, რომ არ იცოდნენ მისი ჩამოსვლა და ამიტომ ვერ შეხვდნენ ისე, როგორც ეს საჭირო იყო. გეგეჭკორმა მეორე დღეს ადმირალი დე-რობეკი ინახულა. ინგლისის და საქართველოს წარმომადგენლების ბაასი ერთ საათზე მეტი გაგრძელდა. ამ ბაასის დროს დე რობეკმა განაცხადა: „საქართველომ სამართლიანად დაიმსახურა დიდი ბრიტანეთის ყურადღება. ახალგაზრდა რესპუბლიკამ დაამტკიცა, რომ იგი ღირსია იურიდიულათ ცნობისაო. მე კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს, რომ უზრუნველყოს საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობის ცნობა, და მისი საერთაშორისო მდგომარეობა განამტკიცოსო. (სდს)).

შრომის სამინისტროში

თანახმად დამფუძნებელი კრების 16 აგვისტოს დეკრეტისა დასახიჩრებულთა პენსიების გადიდების შესახებ ჯამაგირების რაოდენობის ცვალებადობასთან შეფარდებით (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 4 აგვ. № 190) შრომის სამინისტრომ დაადგინა:

1) იმ პირთ, რომელთა წლიური ჯამაგირიც აღემატება 180,000 მანეთი დაზღვევის რაოდენობის გამოანგარიშებაში მიღებულ იქნება მხოლოდ ეს თანხა.

2) აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ა/წ. 1 იანვრიდან.

შრომის კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს წინადადება ეძლევა თვალყური ადევნონ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

— თანახმად დამფუძნებელ კრების 1910 წლის 13 დეკემბრის დეკრეტისა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 21 დეკემბერი 1919 წლ. № 289) ავადმყოფობის დროს მუშათა დაზღვევის დებულების მე 65 მუხლის შეცვლისა, შრომის სამინისტრომ დაადგინა:

1. იმ პირთა გადასახადი საავადმყოფო კასაში, რომელთა დღიური ხელფასი აღემატება 600 მან. ან წლიური 180,000 მან. გამოიანგარიშება 600 მანეთიდან თვეში.

2. დადგენილება ძალაში შედის 1920 წლის 1 აგვისტოდან. შრომის კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

ერობა და ქალაქი

თფილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

თფილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა მერვე ყრილობის მეორე სხდომამ მოისმინა ე. ავალიშვილის მოხსენება მაზრის მიწებზე გადასახადის დაწესების საკითხის შესახებ. მოხსენების განხილვის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: მიმდინარე წელს თფილისის მაზრაში მიწაზე 36 მილ. მან. უნდა დაწესდეს, საქონელზე კი 3 მილ. მანეთი. სულ 39 მილ. მან. ამ გადასახადს კი სოფლებს შორის ერობათა გამგეობები გააწესრიგებს, მცხოვრებთა შორის კი საგანგებო სასოფლო კომისია თემის ხელმძღვანელობით. გადამხდელთა სია პირველ ოქტომბრიდან უნდა გამოქვეყნდეს. უკმაყოფილოთ საშუალება ეძლევათ თავისი საჩივარი ერობის გამგეობას ოქტომბრის 15-მდე წარუდგინონ.

გადასახადის შეკრება ოქტომბრის 30 მდე უნდა დასრულდეს. ერობების გამგეობებს უფლება ეძლევათ საჭიროების დროს შეცვალონ ვადა და აგრეთვე დაზარალებული მაზრები გადასახადებისაგან სრულიად გაანთავისუფლონ. (სდს)

საჰაერო დამოკიდებულება საქ. და ევროპას შორის

საქართველოსა და ევროპის შორის დამოკიდებულების მოწყობის საკითხი დაინტერესებულ წრეებში სერიოზულ ყურადღებას იპყრობს. ამ საკითხის შესახებ საავიაციო როტის წარმომადგენელი მაიორი სტროევი იუწყება: ფრენოსნობის ტეხნიკამ უკანასკნელ დროს განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებს შორის ნორმალური საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა. ეს საკითხი უახლოეს დროში საქართველოსათვისაც უნდა გადაწყდეს. პირველ რიგში შესაძლებელია საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა საქართველოსა და ბულგარეთის, რუმინეთის, სერბიის და საბერძნეთის შორის, მეორე რიგში საქართველოსა და ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის შორის და შემდეგ საქართველოსა და ესპანიის, ინგლისის, შვეციის და ნორვეგიის შორის. საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა შეიძლება აგრეთვე საქართველოსა და რუსეთს შორისაც. ახლა, როდესაც ეკონომიური აღმშენებლობა არ გვაძლევს საშუალებას ერთი წუთის დაკარგვისასაც, როდესაც ამერიკის ლოზუნგია: დრო—ფული, ახლა საჰაერო დამოკიდებულების ეკონომიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საილუსტრაციოთ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ლონდონ-თფილისის საჰაერო გზის გავლა, რომელიც 5,300 ვერსტს უდრის, 52 საათში შეიძლება. ამაში შედის ის დროც, რომელიც დასჭირდება სევასტოპოლში, ბუდაპეშტში და კელნში შესვენებას. თფილისიდან პარიზს გადაფრენა შეიძლება 45 საათს, თფილისიდან ბერლინს კი 34 საათს, თფილისიდან რომს 33 საათს, თფილისიდან ვენას 27 საათს, თფილისიდან ათინას 20 საათს, თფილისიდან ბუხარესტს 18 საათს. ჩვეულებრივი სისწრაფე სამგზავრო აპარატისა საათში 150 ვერსტს უდრის. ყველაზე დიდი სამგზავრო აეროპლანები არის იტალიის ეგრედ წოდებული კაპრონის ტრიპლანები.

გრაფ დე-მარტელის წასვლა

ამიერ-კავკასიაში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე-მარტელი სექტემბრის 10 თფილისიდან პარიზს მიემგზავრება. მას თან ეხლება მაიორი პეშკოვი. გრაფმა დე-მარტელმა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი გადასცა: სრული დარწმუნებით შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს მომავალი უზრუნველყოფილია. ორი წლის დამოუკიდებელი არსებობით ქართველმა ხალხმა გამოიჩინა პოლიტიკური ტაქტი და თავის ცხოვრების მოწყობის უნარი. საქართველოს მთავრობა, თავის სახელმწიფოებრივობის შექმნის საქმეში, ისეთი თანხმობით მუშაობდა ხალხთან, რომ ევროპის ყურადღებაც კი მიიპყრო, რომელმაც თითქმის ერთი წლის წინათ ფაქტიურად იცნო მისი დამოუკიდებულობა. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მალე იურიდიულადაც აღიარებენ. რამდენადაც ვიცი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სწორეთ ამ მიზნით გაემგზავრა ევროპას და სხვათა შორის საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელობა ამაშიც კი სჩანს. ჩემი მხრივ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს იურიდიულად აღიარების მხურვალე დამცველი ვიქნები, როგორც კი ჩავალ პარიზს გავაკეთებ ვრცელ მოხსენებას, სადაც აღვნიშნავ ამიერ კავკასიის და საქართველოს მდგომარეობას და იმასაც, თუ რას მიაღწია საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ აღმშენებლობის საქმეში. მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ქართველ ხალხს, რომელმაც აქამდე მოაღწია, სრული მორალური და ფაქტიური უფლება აქვს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებისა. მეორე საკითხი ისაა, რომ მჭიდრო ეკონომიური კავშირი დამყარდეს საქართველოსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთი რომ საქართველოთი დაინტერესებულია, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობამ საქართველოში ლიცეის გასახსნელად, თანახმად შუამდგომლობისა, 1 მილიონი მანეთი გადასდო. ეჭვი არაა, რომ ასეთსავე ინტერესს გამოიჩენენ ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტთა წრეებიც საქართველოსთან ეკონომიურ დამოკიდებულების საკითხში. ამის იმედს სხვათა შორის იძლევა ახლახან დაარსებულ ფრანგთა და ქართველთა სავაჭრო-სამრეწველო პალატა. როგორც კი პარიზში ჩავალ ვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე, რომ ზემოდ დასახელებულ პალატას დახმარება აღმოუჩინოს. ღრმათ მრწამს, რომ საქართველოს სიმდიდრე და ნედლი მასალა დიდათ დააინტერესებს საფრანგეთის კაპიტალისტებს და ეჭვი არაა საფრანგეთი მიიღებს ზომებს საქართველოს საერთაშორისო და კერძოდ მისი ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად. (სდს)

სეტყვა.

დუშეთი. წუხელ ღამის ორის ნახევარზე თუთხმეტი წამის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთისკენ ხუთი ვერსის სიგანით ასტყდა საშინელი ქარიშხალი ჭექა-ქუხილით. რასაც მოჰყვა ქათმის კვერცხზედ უდიდესი სეტყვა. დალეწა მთლად ფანჯრის შუშები, კრამიტები, ხეხილები. გაანადგურა სიმინდი, ბოსტნეულობა. დახოცა ფრინველი, წვრილ ფეხა საქონელი. დაზარალდა, იკოთი, გრემის ხევი, ბაზალეთი, დუშეთი, ბულაჩაური და სხვა სოფლები. ზარალი რამოდენიმე მილიონი იქნება.

ერობის თავმჯდომარე **ჭანიშვილი.**

ზესტაფონი. საშინელმა სეტყვამ ბევრ სოფლებში სრულიად გაანადგურა მოსავალი, უმეტესად ყურძენი.

თავმჯდომარე **ბუჩიძე.**

უცხოეთი

ინგლისის მუშები და რუსეთ-პოლონეთის ომი.

როდესაც გამოქვეყნდა სპას კონფერენციის გადაწყვეტილებანი პოლონეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და გენ. ვრანგელის მთავრობა იცნო საფრანგეთმა, ინგლისის მუშებმა, ტრედ-იუნიონების ნაწილის წარმომადგენლებმა, 10 აგვისტოს დაარსეს „მოქმედების კომიტეტი“, რომელსაც დაევალა მთავრობის საგარეო პოლიტიკაში აქტიური ჩარევა რუსეთთან ახალ ომის თავიდან ასაცილებლათ.

„მოქმედების კომიტეტი“-ს წევრებმა 11 აგვისტოს დილით ლოიდ-ჯორჯს სთხოვეს მოესმინა მათი დეკლარაცია რადგან ლოიდ-ჯორჯი იმ დღეს აპირებდა პარლამენტში პასუხის გაცემას მუშათა ფრაქციის შეკითხვაზე—რუსეთ-პოლონეთის საკითხის შესახებ. კომიტეტის სახელით განცხადება გააკეთა ბევინმა.

მოლაპარაკების დროს იქ იყო ბონარ-ლოუ.

ბევინმა შემდეგი განაცხადა: აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც შესდგა წინა ღამით ზემოთ დასახელებულ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, დაისახა მიზნათ ებრძოლოს არა მარტო პირდაპირ სამხედრო მოქმედებებს ე. ი. ინგლისის ჯარისკაცთა და მეზღვაურთა გამოყენებას აქტიურ სამხედრო მოქმედებებისათვის; ის შეებრძოლება იმას, რაც შეიძლება ვიგულისხმოთ **„არა პირდაპირი ომის“ ქვეშ ე. ი. ბლოკადას, სამხედრო მასალების** მიწოდებას და შემწეობის აღმოჩენას იმ ძალებისთვის, რომლებიც ეხლა რუსეთს ეომებიან. ეს რეზოლიუცია, ბევინის სიტყვებით, ემყარება მრავალ რიცხოვან მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ 6 მილ. მშრომელ ხალხს, რეზოლიუციებზე და გადაწყვეტილებებზე. ამ საკითხში მუშებს სურთ არა მარტო მთავრობასთან ბრძოლა, არამედ—იმ რეაქციონურ ძალებთანაც რომლებსაც მთავრობა ხელს გაუწვდიდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთთან პირდაპირი ან არა პირდაპირი ომი დაიწყო.

ლოიდ ჯორჯი შეეკითხა, ეხება თუ არა ეს რეზოლიუცია იმ პირობებს, რომლებშიაც საბჭოთა მთავრობის მოქმედება შესაძლოა პოლონეთის ნაციონალურ დამოუკიდებლობის საფრთხეთ გადაიქცეს. ამაზე ბევინმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ ქვეყანაზე, (ე. ი. პოლონეთზე) რომელსაც არავითარი საფრთხე არ მოელის და არც მოელოდა; თუ კი საშიშროებას ადგილი ექნებოდა და ეს სახელმწიფო მიჰმართავდა მთელს ქვეყანას პროტესტით, მაშინ შეიქმნებოდა ახალი გარემოებები, რომლებიც შეაცვლევინებდენ მუშათა მასას ამ საგანზე შეხედულებებს.

მიუხედავათ იმისა, რომ ფორმალურათ საბჭოთა რუსეთისათვის ომი არ გამოუცხადებიათ, ფაქტიურათ დაფარულ ფორმაში სწარმოებს—დახმარებას უწევენ შეიარაღებულ შეტევებს და საზღვაო ბლოკადას, რადგანაც ზღვები ჯერ არ არის გაწმენდილი ნაღმებისაგან და რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის გზები კიდევ დახშულია: ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობის საზოგადოებრივი აზრი ჰფიქრობს,რომ რუსეთის საკითხში ჩვენ არა პატიოსანი გზით მივდიოდით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იმდენათ, რამდენათაც საფრანგეთი ჩვენი მოკავშირე იყო, ჩვენ ბევრჯერ დავუმტკიცეთ იმას, რომ ის რჩებოდა თავის საგარეო პოლიტიკის სრულუფლებოვან ბატონ - პატრონათ. ინგლისის ხალხს სურს თავის მხრივ დარჩეს თავის საგარეო პოლიტიკის და გარეშე ურთიერთობათა ბატონ პატრონათ.

„ჩვენ ვამბობთ, კმარა ასეთი პოლიტიკა: ჩვენ გულახდილათ ვაცხადებთ, რომ თუ კიდევ გაგრძელდება ომი რუსეთთან, პოლონეთისთვის პირდაპირი დახმარების თუ გენ. ვრანგელისთვის არაპირდაპირი დახმარების სახით, „ამით მიტანილი იქნება ანთებული წუმწუმა ასაფეთქებელ ნივთიერებასთან და ამ აქტის შედეგების გათვალისწინება არც ერთს ჩვენგანს არ ძალუძს.“

ლოიდ-ჯორჯმა უპასუხა, რომ ეს განცხადება არის ღია კარების ძალით შემტვრევა, იმიტომ, რომ თითონაც ომის წინააღმდეგია. შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა:

ბევინი: მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ პოლონეთს ხალხმა მოისურვა ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არ მოსწონთ მოკავშირეებს?

ლოიდ-ჯორჯი: ეს რა ჩვენი საქმეა? ეს იმათი საქმეა.

ბევინი: ეს მართლა იმათი საქმეა?

ლოიდ-ჯორჯი: რასაკვირველია ჩვენთვის სულ ერთია, თუნდაც იმათ თავისათვის მოისურვონ მიკადო—ეს იმათი საქმეა.

ბევინი: ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ გვინდოდა გაგვეგო.

ლოიდ-ჯორჯი მაგრამ იმ პირობით თუ ეს არ მოხდება ძალდატანებით, თუ ისინი ამას თავისუფლათ მოიმოქმედებენ თავის საკუთარი არჩევნით.

ბევინი მე სავსებით ვეთანხმები ამას

ლოიდ ჯორჯმა მუშათა დელეგაციას განუცხადა, რომ ის ამ საქმეში ჩარევით და მუქარებით მხოლოდ ხელს უშლის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას, რომლის მიღწევა ყოველ მათგანსა სურს. ეს იმიტომ, რომ მათი მუქარა ძალიან ამაგრებს რუსის ბოლშევიკების იმ ნაწილს, რომელსაც, როგორც ეს ბევრმა მუშებმა იციან, აგრესიული გეგმები და განზრახვები აქვს და რომელსაც სურს პოლონეთის ხალხს წარუდგინოს მიუღებელი პირობები. „ამიტომ, სთქვა ლოიდ ჯორჯმა, თქვენ არ უნდა გადაიდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობდენ უკიდურეს ელემენტების გამარჯვებას“.

ბოლოს პალატის წევრმა ადამსონმა დეპუტაციის სახელით მადლობა გადაუხადა ლოიდ ჯორჯს.

ინგლისის მუშების აღმასრულებელი კომიტეტის პარიზიდან გაძევება.

„რეიტერის“ სააგენტო იუწყება: ინგლისის მუშების აღმასრულებელ კომიტეტის დელეგატები ადამსონი და გოსლინგი ჩამოვიდნენ პარიზში 17 აგვისტოს; ისინი მიიღო შრომის გენერალური კონფედერაციის მთავარმა მდივანმა ჟუომ. შრომის კონფედერაციის შენობაში თათბირის შემდეგ, იმ დროს, როდესაც დელეგაციის წევრები და ჟუო საუზმობდნენ რესტორანში „ბულვარ დესტრასბურგ“-ზე იმათთან მივიდნენ პოლიციის აგენტები და მოსთხოვეს, რომ დელეგატებს იმავე საღამოს დაეტოვებინათ პარიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გააძევებენ. შრომის კონფედერაციის პრეზიდიუმისა და სოციალისტურ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრებთან ხელმეორე თათბირის შემდეგ, დელეგატებმა მიჰმართეს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სთხოვეს, რომ გაედიდებინათ მათი პარიზიდან გასვლის ვადა, მაგრამ ეს თხოვნა არ შეიწყნარეს. ადამსონი და გოსლინგი იმავე საღამოს წამოვიდნენ პარიზიდან. გაზეთ „პოპულერ“-ში დაბეჭდილ ინტერვიუში ადამსონი და გოსლინგი აცხადებენ, რომ ისინი ჩამოვიდნენ პარიზში არა იმ მიზნით, რომ ჩარეულიყვნენ საფრანგეთის შინაურ საქმეებში და ან ეკარნახათ მისთვის საგარეო პოლიტიკის მეთოდები და არც იმისთვის, რომ მოეხდინათ გავლენა შრომის გენერალურ კონფედერაციაზე, არამედ—მხოლოდ იმისთვის, რომ შეეტყობინებინათ საფრანგეთის მუშებისათვის, თუ რა ნაბიჯებს სდგამენ ინგლისის მუშები ომის თავიდან ასაშორებლათ. დელეგატებმა, სხვათა შორის, სთქვეს, რომ ისინი არ აძლევენ მნიშვნელობას ლლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვებს.

მატარებლის გაძარცვა ხეთასა და ახალსენაკს შუა

5 სექტემბერს, ახალსენაკიდან მიმავალ საფოსტო მატარებელს ზემო ქვალონის პლატფორმის ახლო თავს დაესხნენ ყაჩაღები.

სიმინდებში ჩასაფრებულმა ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს მატარებელს. მატარებელზე ასულმა ერთმა ყაჩაღმა მგზავრებს უბრძანა ჩამოსულიყვნენ და ზოგს თოფის კონდახით ცემა დაუწყო. გამოჩნდა სულ 5 ყაჩაღი. მათ შორის დარასელია და სიჭინავა. დანარჩენნი ჩასაფრებულნი სროლას განაგრძობდნენ. მატარებლის მცველ 5 მილიციელს იარაღი აჰყარეს. მგზავრებს წაართვეს 3 მილიონ მან. ფული და ძვირფასი საგნები და გაიტაცეს ფოსტა. მოკლეს ერთი კაცი და ქალი, დასჭრეს ერთი კაცი და ორი ბავში. სროლა მანამდე არ შეუწყვეტიათ, სანამ არ მიიმალნენ სიმინდებში. ახალსენაკიდან თავდამსხმელებს დაედევნა გვარდიელების გუნდი.

ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილის ხსოვნას

გუშინ ცივ სამარეს მიაბარეს სოფ. წინამძღვრიანკარს ჩემი და მრავალი სხვათა სულიერი მამა ილია ივანის ძე წინამძღვარიშვილი.

ყველასათვის ცნობილია, თუ ვინ იყო ი. წინამძღვარიშვილი, მაგრამ მის მოწაფემ უფრო დაწვრილებით იცოდა მისი ვინაობა, ვიდრე სხვამ.

ი. წინამძღვარიშვილი იყო თითქმის ერთად-ერთი მერცხალი მეურნეობის გავრცელებისა საქართველოში, მან გზა გაუკაფა ქართველ ერს იმ დროს, როდესაც სხვები თავიანთ ფუფუნებაზე ფიქრობდენ, თავიანთ თავის ალერსში იყვნენ და თუ ფიქრობდა ვინმე ხალხზე მარტო ენით და არა საქმით. ამ დროს ამ ერთად-ერთმა ადამიანმა დაიდვა მძიმე უღელი, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე ეწეოდა.

ს. წინამძღვრიანთ-კარს, დუშეთის მაზრაში, ერთ მიუდგომელ ადგილას დაარსა სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი. ილიას მტკიცე და შეურყეველი სურვილი იყო რომ მის სასწავლებელში აღზრდილიყვნენ ნამდვილი ქართველი მეურნენი. სასწავლებელი იყო დაგებული მართლა ეროვნულ საფუძველზე, სადაც მოწაფე იძენდა როგორც სამეურნეო ცოდნას, ისე ქართული ენის ცოდნას. ამასთანავე ეკისრებოდა მოწაფეს, რომ მისი ცოდნა გაენაწილებინა იმ საზოგადოებისათვის, რომელშიაც მას მოუხდებოდა ცხოვრება და მით ფეხი მოეკიდა ჩვენში მეურნეობას. მოწაფე იზრდებოდა თავისუფლათ. შევიწროებას ადგილი არ ჰქონდა. მოწაფენი ღრმა პატივისცემით და ამხანაგურათ ეპყრობოდენ მასწავლებელს, უკანასკნელიც თფილად ეპყრობოდა მოწაფეებს. და ამნაირი თავისუფალ აღზრდით სასწავლებლიდან გამოდიოდენ კარგი მეურნენი, რომელნიც უმეტესნი ცნობილნი არიან და სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობენ.

შენი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ფერმაში დამმარხეთ“-ო.

განისვენე მოხუცო იმ იმედით, რომ რომ შენი მოვალეობა პირნათლად შეასრულე ხალხის წინაშე.

მშვიდობით!.

არჩილ ლეხურელი.

რკინის გზაზე

ფოთის რაიონულმა გამგეობამ მოისმინა რა ცენტრალური გამგეობის მოწოდება სამტრედიის რაიონში კრების მიერ გაფიცვის და დადგენილების გამოტანის შესახებ დაადგინა: გაფიცვა სცნოს ყოვლად დაუშვებლად, რაც უნდა მართალი არ იყვნენ გაფიცვის მომხრენი. ვითარების გასაცნობათ გაგზავნილ იქნენ ამხანაგები თევზაძე და ჩაგანავა დავალებით იბრძოლონ გაფიცვის წინააღმდეგ. ფოთის რაიონის გამგეობა მწუხარებას გამოსთქვამს სამტრედიის ამხანაგების ასეთი უტაქტიკო გამოსვლაზე.

ფოთის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე **სიხარულიძე.**

სამმართველოს რაიონული გამგეობა გაეცნო რა ცენტრალური გამგეობის დეპეშას სამტრედიაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ ყოვლად, დაუშვებლად სცნობს დღევანდელ დროში და ისიც ერთ რაიონში მოსამსახურეთა ერთი ჯგუფის მიერ გაფიცვის გამოცხადებას ან და იმისაკენ მოწოდებას იმ შემთხვევაშიაც, თუ ვინმე ესა თუ ის პირი უსამართლოდაც იყოს დასჯილი რადგან ყველა ასეთ პირს აქვს საშუალება კანონიერის გზით სამართლის აღდგენისა. აღუთქვამს ცენტრალურ გამგეობას მხარის დაჭერას კავშირის მთლიანობის და წესდების დაცვაში.

საქართველოს რაიონული გამგეობის თავმჯდომარე **კამკამიძე.**

მოსავალი გორის მაზრაში

წელს გორის მაზრაში მოსავალი კარგი იყო. გაზაფხულზედ ამინდმა ძლიერ შეუწყო ხელი მოსავლის დამწიფებას და მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში გვა-

ლვამ ცოტა ოდენათ ალაგობრივ ცუდათ იმოქმედა სიმინდზე. (ნამეტნავად უჩიოდა გვალვას დირბის რაიონი).

გაზაფხულის მოსავლის მდგომარეობა გამოიხატება შემდეგი საშუალო ნიშნებში:

შემოდგომის პური—3,7
შემოდგომის ქერი—3 7
გაზაფხულის პური—3,7
გაზაფხულის ქერი—3,6
სიმინდი . . . —3,9

ამნაირი მოსავლის გამო და აგრეთვე შემოდგომის და გაზაფხულის თესვლობის გაძლიერების გამო სასურსათო პერსპექტივები გორის მაზრისთვის ძლიერ საწუგეშოა, შედარებით წარსულ წლების მოსავალთან (17, 18, 19 წ.)

წინასწარი ცნობები პურის, ქერის და შვრიის მოსავლისა ერთ დესეტინაზე ჩვენ მიერ შეგროვილია, რაც შეეხება სიმინდის მოსავალს, ჩვენ გვაქვს ცნობები სოფლის მეურნეების ვარაუდიდან.

საშუალოდ, მოსავალი ფუთებში მაზრისთვის გამოიხატება შემდეგ ნიშნებში:

პური—1,751,689,15
ქერი— 699,771,33
შვრია— 162,714,60
სიმინდი—1,036,983,61
სულ . . 3,651,158,69

1920 წლის დასათესად დაგვჭირდება 557,404,66 ფუთი, მცხოვრებლებისათვის საზრდოთ საჭიროა 2,799,096; სულ მაზრაში დაიხარჯება 3 356 500 66 ფუთი და ბოლოს საჭირო მოთხოვნილებითი საზრდოს რიცხვის გამოკლებით საერთო მოსავლის რაოდენობიდან დაგვრჩება ზედმეტი: 3,651,158,69—3,356,500,66=294 658,03 ფუთი, რაც შეიძლება გატანილ იქნეს მაზრიდან. ასეთია წინასწარი ანგარიში. საბოლოვო გამორკვევა ჯერ არ გათავებულა, ცნობების მოწოდებას განაგრძობენ წინასწარი ანგარიში რამდენადმე შესაძლოა გამოიცვალოს; ეს უფრო შეეხება სიმინდის მოსავალს, რომლის რაოდენობის შესახებ ცნობები ნაჩვენებია თვითონ სოფლის მეურნეების ვარაუდით, რადგანაც მისი მოჭრა დაიწყობა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, დიდი განსხვავება არ იქნება და ჩვენი წინასწარი ანგარიში დაახლოვებით სწორეა. ზედმეტი მოსავლის რაოდენობის რიცხვის რყევა არ აღემატება 2% (5—6 ათას ფუთს) ამ ზედმეტი მოსავლის რიცხვი უეჭველად დაახლოვებით იქნება 300,000 ფუთამდე.

გლ. მცხვეთაძე.

„ფოკუსნიკი" გოზალიუსი

(საქართველოს თემთა საყურადღებოთ).

„ფოკუსნიკი" გოზალიუსი მოვიდა შემოქმედის თემში (გურია) და განაცხადა, რომ „მთავრობისაგან ნება მაქვს ვმართო წარმოდგენები ყველა კუთხეში საქართველოს რესპუბლიკისა, რომლის შემოსავლიდან 20% გადიდება „გორის ფონდშიო". აგრეთვე შეგვპირდა რამოდენიმე პროცენტის ადგილობრივ სკოლის შენობის ასაგებ ფონდში გადმოცემას.

ვაცხადებ ყველას საყურადღებოთ, რომ გოზალიუს აქვს შეუმოწმებელი ბილეთები, რომლიდანაც ყოვლად შეუძლებელია გაიგოთ, თუ რამდენი გაიყიდა ბილეთი, რომ მთავრობამ მიიღოს 20% გორის ფონდში. რაც შეეხება სკოლის ასაშენებელ ფონდში გადაცემას, იმაზე განაცხადა გოზალიუსმა, რომ ზარალი ნახა და ვერაფერს გადასცემს სკოლის შენობის ფონდში. მეორე დილას გაიპარა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ მოუცია. როგორც მისი მოქმედებიდან გავიგეთ, ის მართლა ყველაფერში „ფოკუსნიკია" და უფროხილდით!..

შემოქმედის თემის გამგეობის თავმჯდომარე ე. ცეცხლაძე.

წერილი დამცველი თუ დამრღვევი

ქ. სურამს მილიციის უფროსი ვინმე გაჩეჩილაძე, მუდამ უზომოდ გალეშილი ატარებს დროს. და თითონ სჩადის უწესოებას.

გაჩეჩილაძის ასეთი მდგომარეობა, მე მგონია, საიდუმლოებას არ შეადგენს სურამის ქალაქის გამგეობისთვის, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და გაჩეჩილაძე—სურამის მილიციის უფროსად.

ამასთან ერთად, სურამის გამგეობამ კარგად იცოდა, რომ გაჩეჩილაძე თავისი საქციელის გამო დათხოვნილ იქნა ხაშურიდან, სადაც წინად მილიციის უფროსად იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა გაჩეჩილაძეს მაინც მისცეს სურამში მილიციის უფროსობა.

საკვირველია, ის პირი, რომელიც ხაშურში უწესოებას ახდენდა, განა სურამში გამოკეთდებოდა?

ასეთი მაგალითები ბევრი იყო. ერთ ადგილას დაითხოვდენ ბოროტმოქმედებისათვის. მეორეზე მიიღებდენ ან იმ თანამდებობაზე, ან და უფრო მაღალ პოსტზე.

დღეს კი, როგორც ვიცით, დაგზავნილია ყველგან ცირკულიარები, რომ როდესაც რომელიმე პირს ითხოვდენ ბოროტებისთვის, ეს უნდა ეცნობოს როგორც ყველა მაზრის მილიციის უფროსებს, ისე ყველა დაწესებულებას ან და როდესაც ვინმეს ღებულობენ სამსახურში, მაშინ უნდა დაეკითხონ იმ დაწესებულებას, სადაც ის მსახურებდა და უნდა გაიგონ თუ რა ყოფაქცევის და წარსულის მქონეა.

აი ერთად ერთი საშუალება, რითაც შეძლება გვქონდეს გაიწმინდოს ადმინისტრაცია მავნე პირებისაგან და მათ ადგილას მიღებულ იქნას სპეტაკი და საიმედო ელემენტები.

ხაჭამიასხრელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 2 სექტემბერს ს. ვიდაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა მე-4 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. კრებას დაესწრო ამხ. ისიდორე რამიშვილი. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან; 2) მუშათა გაზეთის გამოცემის შესახებ; 3) ამხ. ფ. აბესაძის ავათმყოფობის გამო; 4) მებაღეთა კავშირის განცხადება; 5) სომხური სექციის წრიული; 6) ამხ. ს. ბუკიას განცხადება. პირველი კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. უშ. ელიავას მოხსენებას თფილისის კომიტეტის უკანასკნელ დღეების მუშაობის შესახებ. მცირე კამათის შემდეგ ყოფს მომავალ სხდომაზე განსახილველად, კითხვას მუშათა მდგომარეობის შესახებ და გადადის მორიგ საკითხზე. მეორე კითხვის შესახებ სხდომა არ სცნობს საჭიროთ, რომ გამოცემულ იქნას ახალი პარტიული მუშათა გაზეთი. მესამე კითხვის შესახებ მდივანი მოახსენებს სხდომას პარტიულ მუშაკ ფილიპე აბესაძის ავათმყოფობის შესახებ. სხდომა ავალებს ამხ. ნ. ნიკიტინს და მდივანს ინახულონ ავათმყოფი და მიიღონ სათანადო ზომები საჭირო დახმარებისათვის. მებაღეთა კავშირის განცხადებაზე, მათი მუშების პარტიის წევრათ მიღების შესახებ, სხდომა ავალებს ამხ. გ. უსენაშვილს, რ. კერესელიძეს და მდივანს წავიდნენ კავშირში და ადგილობრივათ გაეცნონ კავშირის წევრთა მუშების შემდგენლობას. სომხური სექციის წრიულზე „მანვორ ძაინის" სასარგებლოთ გამართულ საღამოში მონაწილეობის მისაღებათ სხდომა დამატებით ირჩევს ამხ. ნ. ნიკიტინს და ა. კიკნაძეს. უკანასკნელი კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. ს. ბუკიას განცხადებას კაფე-შანტანებში თავაშვებული ქეიფის შესახებ, სადაც ითქმება აუარებელი სანოვაგე მაშინ როდესაც მუშები ბაზარზე პირველ მოთხოვნილების სანოვაგეს (ხორცს და სხვ.) ვერ შოულობენ და იქ კი უამრავი ითქმება და თხოულობს მთავრობის მიერ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: განიხილა რა კითხვა თფ. კაფე შანტანებში თავაშვებულ ქეიფის შესახებ, სადაც იფლანგება სახელმწიფოს სიმდიდრე და ითქმება აუარებელი სურსათი, რომლის გამო მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი მოკლებულია საკვებ ნივთიერებას მიაქცევს ამ მოვლენაზე მთავრობის ყურადღებას, რომ მიღებულ იქნას ჯეროვანი სათანადო ზომები ამის მოსასპობად. X.

ამბროლაურის თემი. (ქვემო რაჭა) აქ თითქმის რევოლიუციის დაწყებიდანვე არსებობს პარტიული ორგანიზაცია. არის არჩეული ხელმძღვანელი კოლექტივი. ორგანიზაციის წევრებად ირიცხება 20 კაცამდე, რომლებიც შეგნებული ამხანაგებია. ეხლა განზრახულია მოხდეს ახალ რეგისტრაცია; ბევრი მსურველები ჩაეწერონ პარტიაში რომლებიც აქამდე თანამგრძნობათ ითვლებოდენ: ასე რომ, ორგანიზაციას მალე მალე ეყოლება 40 წევრამდე. ყველა პარტიულ ამხანაგს ეძლევა საწევრო ბილეთი. პარტიული გადასახადია თვეში 3 მანეთი. კრებები ხდება თვეში ორჯერ, რომელზედაც ვარკვევთ როგორც საჭიროობოტო პრაქტიკულ საკითხებს, ისე თეორეტიულად ამხანაგების გასათვითცნობიერებლად სწარმოებს მეცადინეობა საუბრების სახით. უკანასკნელად პარტიულმა კრებამ აირჩია სამი ამხანაგისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ევალება გამოიმუშაოს მომავალი მუშაობისათვის გეგმა. საჭიროა ცენტრალური კომიტეტიც აღმოგვიჩენდეს დახმარებას, რითაც შეძლება: მაგ., წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით და პასუხის მგებელი პროპაგანდისტის გამოგზავნით. როგორც ყური მოგკარით ცეკას გამოუგზავნია აქ ვინმე სალარაძე, რომელსაც ევალება ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს ამხანაგი რამოდენიმე საზოგადოებაში მისვლით დაკმაყოფილებულა. ეს კი ძალიან ცუდია.

სიხონა.

მუშათა შორის

ლითონზე მომუშავეთა შორის.

ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას:

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა ამით გაცნობებთ, რომ 1) ყველა დროებით და მუდმივ მუშებს, რომელნიც სასურსათო ფონდიდან სურსათით არ სარგებლობენ, უნდა მიეცეთ სასურსათო ფონდიდან 25 პროცენტი, სურსათისა და პურის მიღების დღემდე, იმისდა მიუხედავათ, თუ რა მიზეზით არ ღებულობდენ სურსათს. 25 პროცენტი უნდა მიეცეთ იმ შემთხვევაშიაც, როცა წარმოებას სასურსათო ფონდში შეტანილი აქვს 1000 მანეთიანი გადასახადი, მაგრამ პური კიდევ არ მიუღიათ. 25 პროცენტი სურსათის მაგიერ, ეს სამუშაო ქირის ნაწილია და ამიტომ ყველამ უნდა გადაიხადოს. 2) მექანიკურ სამრეწველოს შავ მუშებს სამუშაო ქირა უნდა მიეცეთ სხვა მუშების თანაბრათ თვეში ორჯერ სახელოსნოს ყველა მუშებთან ერთ დროულათ. ხსენებულ წესის შემოღებამდე სამუშაო ქირა შავ მუშებს გთხოვთ მიეცეს შაბათობით, ვინაიდან სხვა გზით მათ უძნელდებათ თავიანთი კვირეული ხარჯის დაფარვა და ამით მათ დიდი დროს დაკარგვა უხდებათ ფულის მისაღებათ. 3) საწყობებისა და ქონების დამცველ საზოგადოების მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ შეღავათი კოლლექტიური ხელშეკრულების მიხედვით სახელოსნოში მომუშავე მუშების თანაბრათ. ვინაიდან ბევრ მუშებ-სათვის შეღავათების მიცემის დრო უკვე დადგა, გთხოვთ დააჩქაროთ ხსენებული საკითხის გადაჭრა და გამოიმუშაოთ შეღავათების რიგი. თუ მუშების სიმცირის გამო შეღავათება არავის მიეცემა, მაშინ შტატი გადიდებულ უნდა იქნას. შეღავათით სარგებლობა სავალდებულოა. კავშირი ნებას არ აძლევს არავის შეღავათების მაგიერ თვიური ჯამაგირი მიიღონ. 4) ქონების დამცველ საზოგადოების მუშებმა, სხვა მუშებთან ერთად უნდა ისარგებლონ კვირაში ერთი თავისუფალი დღით. ვინაიდან მათი სამუშაოს ხასიათის მიხედვით კვირა დღით ყველანი ვერ დაისვენებენ ამიტომ წინდაწინ გამომუშავებული რიგის მიხედვით ყოველ კვირაში თითოეულ მუშას უნდა ხვდეს ერთი თავისუფალი დღე ასეთი წესი შემოღებულია ყველა წარმოებაში, სადაც კავშირის შრომა სავალდებულოა. გთხოვთ ნაჩვენები წესი გაატაროთ არა უგვიანეს 12 სექტემბრისა.

გამოვდივართ რა ზემოხსენებულიდან და ვემყარებით რა 1917 წლ. 29 ნოემბრის დეკრეტზე და კოლლექტიურ ხელშეკრულობის მოთხოვნილებებზე, გაცნობებთ, რომ მუშებს, თუ არ ისარგებლებენ კვირაში ერთი თავისუფალი დღით, ღებულობენ უქმე დღით მუშაობისათვის ორკეც ქირას.

ქონების დამცველ საზოგადოებისა და მისი განყოფილებების ყველა მუშებს რომელნიც არ სარგებლობენ ერთი თავისუფალი დღით, უნდა მიეცეთ დამატებითი სამუშაო ქირის განსხვავება კვირა დღით მუშაობისათვის საერთო წესით, ე. ი. ზედმეტი მუშაობისთვის დაჯილდოების წესების მიხედვით ამა წლის პირველ აგვისტოდან. ჩვენ მიმართვაზე თქვენი თანხმობის შესახებ გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ არა უგვიანეს 7 სექტემბრისა.

სამურზაყანოს სამაზრო ერობის მოსამსახურეთა პროფ. კავშირში.

ამა წლის 17 აგვისტოს ქ. გალში შესდგა სამურზაყანოს სამაზრო ერობის მოსამსახურეთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რ. ანვაილერი, მდივნათ ე. შონია. კრებას დაესწრო ერობის ის მოსამსახურეებიც, რომელნიც კავშირის წევრებათ არ იყვნენ და არც საწევრო გადასახადი შეუტანიათ კავშირში, მაგრამ წევრობაზე თანხმობა განაცხადეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ხმის უმრავლესობით ისინი დაშვებულ იქნენ კრებაზე როგორც კავშირის სრულუფლებიანი წევრები. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) იაფფასიან სასადილოს გახსნა, 3) გამგეობის წარმოდგენის ანგარიში, 4) წესდების ზოგიერთი მუხლების გადასინჯვა და შეცვლა 5) მიმდინარე საკითხები.

პირველად მოსმენილ იქნა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებენ გამგეობის წევრები ა. ვარფალამაევი და ე. შონია. მათი აზრით იაფ ფასიანი სასადილოს გახსნა მოსამსახურეებისათვის აუცილებელია, ვინაიდან ადგილობრივი სპეკულიანტები ძლიერ უწევენ ფასს სურსათზე და მოსამსახურეთ არ ყოფნით თავიანთი ჯამაგირი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ერთ ხმით მიღებულ იქნა იაფ ფასიანი სასადილოს გახსნა. სასადილოს ორგანიზაცია და შტატის მოწვევა მიენდო გამგეობას. დღის წესრიგის განხილვის შემდეგ გამგეობა აცხადებს, რომ ის იხსნის თავის მოვალეობას. არჩეულ იქნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ ა. ვ. გამისონია, მის ამხანაგად ბ. უზანეიშვილი, მდივნად გ. ჯლარკავა, ხაზინადრად ი. ცხაკაია, წევრი გ. ტორუა. კანდიდატებათ ნ. ჩეხერია. და გ. გეგელია. ამხ. ე. შონია მოახსენებს კრებას, რომ სოხუმის ოლქის შრომის კომისარისაგან მიღებულია მიმართვა, რომ საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეები ჩარიცხულ იქნებიან სასურსათო ფონდში, თუ დაწესებულებები შეასრულებენ ზოგიერთ პირობებს. დადგენილ იქნა მიენდოს გამგეობას ხსენებული საკითხის გამორკვევა. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამგეობამ უნდა მოიწვიოს მოსამსახურეთა არაჩვეულებრივი კრება.

პროვინცია

საგარეჯოს თემი. მარიამობის 22 შესდგა საგარეჯოს თემის ხმოსანთა ყრილობა. დაადგინეს ადგილობრივ მცხოვრებთა პურით უზრუნველ-საყოფათ დაარსდეს თემის ყველა სოფლებში პურის ბეღლები სადაც მცხოვრებთ შეძლების დაგვარათ შეაქვს 1-ან 10 ფუთამდე პური, ხოლო ამის შემდეგ მიეცემათ უფლება პურის გატანისა თემიდან.

თემის თავმჯდომარემ ვ. მჭედლიშვილმა თავი დაანება თავმჯდომარეობას, მის მაგიერ აირჩიეს ვ. კანჯარაშვილი, ხოლო გამგეობის მესამე წევრად ნ. ლაფაჩი.

საერთოდ თემის გამგეობა სწუხს, რომ თემის უფლებრივი მდგომარეობა გამოურკვეველია და ამის მიზეზით თემი ვერ აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას. მოჰყავს მაგალითი, რომ რასაც თემის ხმოსანთა ყრილობა ან თემის გამგეობა დაადგენს, მას სოფლების საგარეო ყრილობები უარს ჰყოფენ და თემს საშუალება არა აქვს ნაყოფიერი მუშაობისა. ამიტომ თემების უფლებრივ მდგომარეობის შესახებ დაადგინეს: ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რომ თემის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებები ან საერთოთ თემის გამგეობისა, მოდიოდეს სისრულეში უშუალოთ და ის არ ხდებოდეს სასოფლო ყრილობის გადასინჯავ და დასადასტურებელ საგნათ.

გარდა ამისა დაადგინეს: რადგან საგარეჯოს თემი დღეს უკვე მომზადებულია იმდენად, რომ მას შეუძლიან სრულიად ისარგებლოს საერობო უფლებებით, როგორც სხვა მხრის თემებთან შედარებით მდიდარი ერობისათვის საჭირო ძლებით, ამიტომ დაადგინა დღევანდელი საგარეჯოს თემი გადაიქცეს ერობათ ე. ი. მიენიჭოს ერობის უფლებები. წინააღმდეგ შემთხვევაში დანაწილდეს საგარეჯოს თემი შესაფერი რაოდენობის მიხედვით.

ვ. კანჯარაშვილი.

საჩხერე. ამ უკანასკნელ ხანებში საჩხერეში დაიწყო მუშაობა ამ რამოდენიმე წლის წინეთ თუ ეს დაბა ძალიან ჩამორჩენილი იყო სხვა დაბებზე, დღეს ასე არ არის. ყოველივე ეს კი მიეწერება საჩხერის თემის გამგეობის ენერგიულ მუშაობას. აქ სწავლა განათლების მხრით ძლიერ ცუდათ იყო საქმე. თემის გამგეობამ უპირველესი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და შეაკეთა ყველა სასწავლებლები, რომელსაც დიდი ხარჯი და ენერგია დასჭირდა. საჩხერეში სრულიად მიძინებული იყო თეატრი, ვინაიდან მას შენობა არ ქონდა და ამის გამო წარმოდგენები არ იდგმებოდა. თემის გამგეობამ მიაქცია რა მას ყურადღება, მოაწყო განსაკუთრებული შენობა, ყოფილი ჩიხის შკოლის შენობა, შემოიკრიბა მას გარშემო ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და თითქმის ყოველ კვირას იდგმება წარმოდგენები, რითაც ხალხი ძლიერ კმაყოფილია.

ხალხის ძლიერი სურვილი იყო ბაზარში წყლის გამოყვანა, ვინაიდან ბაზარი ძლიერ გაჭირვებას განიცდიდა უწყლობით და თემის გამგეობა ამ მხრითაც მუშაობს და მოკლე ხანში ბაზარში გამოყვანილი იქნება წყალი.

ჩვენს რაიონში ისეა ტყის სარგებლობის საქმე, რომ სოფლის ხალხში იწვევს არევ-დარევას. მეორე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყის გამგის თანაშემწე რაიონში არის ერთი, მას არ ყავს არც მწერალი და არც სხვა ვინმე ისეთი, რომ როდესაც ის არ იქნება, მისი საქმე მოაგვაროს და სოფლის მუშა რომ მიდის, მან მოწმობა დროზე აიღოს: ამიტომ ხშირად შეხვდებით სოფლის გლეხს რამოდენიმე დღე არის გაჩერებული თანაშემწის ბინასთან და ვერავითარ მოწმობას ვერ იღებს, ვინაიდან თანაშემწე ტყის გამგის, რომელიც მარტო არის რაიონში, გაწვეულია სამსახურის გამო ხან ერთ ადგილას, ხან მეორეს.

საჭიროა ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

შალიკო ხვადაბუნელი.

ფოთი. 27 აგვისტოს ადგილობრივ სასაფლაოსთან ახლად დაარსებულ მებრძოლთა და მოღვაწეთა პანთეონში გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვლილ ამხანაგების ლავროსი კილურაძის, ერმილე ცხადაიას და შალვა გოგიჩაიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო: მიტინგი გახსნა ამხ. ლავრენტი ტუღუშმა, მუსიკამ შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი. პირველად მოკლე ბიოგრაფია ამხ. ლავროსისა წაიკითხა ლაზ. ძიმისტარაშვილმა, შემდეგ წარმოსთქმულ იქნა სიტყვები: საბჭოს სახელით პ. სეფერთელაძემ, კომიტეტის—ა. სამსონაძემ, ქალაქის თვითმართველობის ლ. დავითაიამ, გვარდიის შტაბის სახელით—თავმჯდომარემ ამხ. ვ. შარაშიძე, წაკითხულ იქნა აგრეთვე ნოე ჟღენტის მიერ ზაქარია ჭკინაძის სიტყვა, რომელშიაც დახასიათებულია გმირული ბრძოლა გარდაცვლილ ამხანაგებისა თავისუფლებისა და რევოლიუციისათვის. ყოველ სიტყვის შემდეგ მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო ჰიმნს და დროგამოშვებით მოწინავე ამხანაგების მიერ შემდგარი ხორო მღეროდა „მსხვერპლად დაეცი" და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს.

დასასრულ კომიტეტი ადგენს: ლ. კილურაძის ხსოვნის აღსანიშნავად ერთ-ერთ ქუჩას ფოთში ეწოდოს ლავროსი კილურაძის სახელი.

მარნელი.

წერილი რედ. მიმართ

იმედი მაქვს პატივცემული „ერთობის" რედაქცია საშუალებას მომცემს ორიოდე სიტყვით უპასუხო ყოველ თავმოყვარე მოქალაქისათვის შეურაცმყოფელს დაუსაბუთებელ წერილზე, რაც იკადრა რკინის გზების ხაზის კომენდანტმა ბ. გოგუაძემ მის მიერ გაზეთ „ერთობის" 187 №-ში მოთავსებულ წერილში. მართალია, მე შედარებით ბ. გოგუაძესთან პატარა ადგილი მიკავია, მაგრამ ადამიანის ღირსება და თავმოყვარეობა პოსტის სიდიადით არ უნდა იზომებოდეს. მე არსებითად არ შევეხები იმ უსამართლობას, რაც მოხდა 5-ამა აგვისტოს წალვერის რკინის გზის სადგურზე და რის მოწმენიც ბრძანდებოდენ გარეშე მრავალრიცხოვანი მოგზაურნი და დამფუძნებელი კრების წევრნი ბ.ბ. ისიდორე რამიშვილი, გიორგი გაგლოევი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქ. მაჭავარიანი და სხვანი. ამაზე უკვე სწარმოებს გამოძიება და იგი, დარწმუნებული ვარ ჯეროვან დასკვნას გამოიტანს აღნიშნულ ინციდენტის გამო, მხოლოდ გასაკვირალი ის გახლავს, რომ მე, შეურაც ყოფილ მოქალაქეს და მოხელეს თავმოყვარეობის აღსადგენათ ჯერ არ მიმიმართავს არც პრესის და არც საზოგადოებრივ მსჯავრისათვის, თვით აღშფოთებულმა საზოგადოებამ ამაზე საჯაროთ ხმა აღიმაღლა, და იმის მაგივრათ, რომ ბ. გოგუაძეს მხილებლებისათვის პასუხი გაეცა და თავი ემართლებინა, შეუდგა ჩემი ბიოგრაფიის წერას, კერძოთ რა ბრალდებებს მდებს მე ბ. გოგუაძე, რომ გაამართლოს თავისი საქციელი. იგი ბრძანებს: 1) რომ მე კაცი მომიკლავს, 2) რომ მე შავი რეაქციონერი ვარ, 3) სურამიდან მუშების ექსპლოატაციისათვის სუმბათოვოში გადმომიყვანია, 4) რომ ეხლაც ფარულად ვაწარმოებ ბორჯომის ხეობაში კერძო მუშაობას, 5) რომ მე უდიერათ მოვიხსენიე, საზოგადოთ მთავრობა და კერძოთ დიდათ პატივცემული ისიდორე რამიშვილი. ვეცდები მოკლეთ ვუპასუხო ბ. გოგუაძეს ბრალდებების ყველა პუნქტებზე: 1) დიდათ სამწუხაროდ მართალია, რომ 18 6 წელში შუადღისას, ბათომში, მრავალრიცხოვან საზოგადოების და წრებით შემოხვეული ჯინჭარაძე, რომელიც თავს დამესხა და ლამობდა ჩემს სიკვდილს; ამ სამწუხარო ინციდენტს სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო და მიცნო უდანაშაულოთ, როგორც მკვლელი აუცილებელი თავდაცვის დროს, 2) და რაც შეეხება ჩემს ღირსებას, როგორც მოქალაქის და მოხელეს ამაზედ ლაპარაკი ზედმეტათ მიმაჩნია, რადგანაც, ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზას საკმაოთ ფხიზელი და შეგნებული ორგანიზაციები ჰყავს,—პროფესიონალური კავშირების სახით, და უვარგის მოხელეს და შავრაზმელებს ერთ წუთსაც არ გააჩერებენ რკინის გზას სამსახურში და მე კი არავითარი შენიშვნაც არა მქონია ჩემს ხანგრძლივ სამსახურის განმავლობაში, 3) ყოველ სიმართლეს მოკლებულია ის, რომ მე სურამიდან გარდამიყვანეს სუმბათოვოში კერძო სამუშაოების წარმოებისათვის მე გადამიყვანეს მხოლოდ იმისთვის, რომ 1908 წ. ჩემმა თანაშემწემ, ანტონ გოგობიშვილმა გაფლანგა ას თუმნამდე ფული, ის იქნება მიცემული სამართალში, გაძევეს სამსახურიდან, აყარეს ღირსება, მე კი მხოლოდ უყურადღებობისათვის სუმბათოვოში გარდამიყვანეს, 4) სურამში მთელ კვარტალს შეადგენს მხოლოდ ერთი ბინა ნასყიდი 1906 წ. სამას თუმნათ და ესეც შეძენილია მამა-პაპეული მამულის გაყიდვის შემდეგ. თუ ზედმეტს კვარტალებს ვინმე აღმოაჩენს, მე შეიძლება საჩუქრათ მიეცე აღმომჩენს, 5) რაც შეეხება ჩემგან, საზოგადოთ მთავრობის, და კერძოთ პატივცემულ ის. რამიშვილის ცუდათ ხსენებას, ეს ხომ პიტალო ცილის წამებაა, რადგანაც ი. რამიშვილი და სხვებიც დაახლოვებით პირადათ მიცნობენ და ვეჭვობ, რომ ვისმეს გამოუქომაგებას საჭიროებდენ, ყოველივე ზემო ჩამოთვლილი მე საბუთებით შემიძლია დავამტკიცო და უკეთუ რამე სიყალბე გამოდგეს ჩემ ნაამბობში მე მზათ ვარ ვიკისრო ყოველივე სასჯელი, რასაც ორი და სამი სინდისიერი პირი მომისჯის.

სად. წალვერის უფროსი იაგორ მახარაძე.

ცნობები

ვლადიმერ ნიკიფორის ძე ვადაჭკორია უკანასკნელ დროს მსახურებდა გაგრის ფოსტა-ტელ. განყოფილებაში. ირიცხებოდა გაგრის რაიონის სახალხო გვარდიაში. ერთი წელია მას შემდეგ, რაც მისი არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცით, გთხოვთ გვაცნობოთ, თფილისი ელისაბედის ქუჩა. № 17 მ. ცინცაძეს.

ჩვენი ფოსტა

პავლე წულაიას სთხოვენ საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგ სხდომას, პარასკევს 10 სექტემბერს უთუოდ დაესწროს.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

მათემატიკი კორძახია

აძლევს გაკვეთილებს მათემატიკურ საგნებში. ალექსანდრეს ქუჩა № 45. (2886 3—3)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმი
ბ. გ. რამენდიკი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფო-

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

სახლი

მამული, აგარაკი, სავაჭრო დაწესებულება და ყოველგვარი საფასურებს შესაძლებელია სწრაფად და ხელსაყრელ ფასებში.

იყიდოთ ან გაყიდოთ

ინტელიგენტთა ჯგუფის დახმარებით. რომელსაც აქვს მოწყობილი დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, გოლოვ. პრ. კუთხეში. (2926 1—1)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილფიანისა

ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (2838—10—6)

ექიმი
ი. ა. ლომაური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შებყრობილთ იღებს საღამოს 7—8 საათ. კირჩის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4— სექტ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავათმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 2913—თ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლი
მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20,

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლ (2383—თ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირჩის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

კ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5-ს 6 ნახ. საათამდე. 2722-თ)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმება
ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.